საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 23 მაისი, 2015 წელი.

№94 (7739)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

სანამ ჯერ კიდევ არ არის უსაშველოდ გვიან...



3

საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ-სავეტერინარო უნივერსიტეტს 80 წელი შეუსრულდებოდა

26 მაისთან დაკავშირებით თბილისში მოძრაობა შეიზღუდება

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, საზეიმო ღონისძიებების მზადებისა და ჩატარების დღეებში, დედაქალაქში ავტომანქანების მოძრაობა შეიზღუდება.

როგორც შს სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, 22 მაისს 09:00 საათიდან 26 მაისის საღამომდე ღონისძიებების დასრულებამდე, ვარდების მოედანზე ავტომანქანების მოძრაობა აიკრძალება.

24 მაისს 21:00 საათიდან რუსთაველის გამზირზე მოქალაქეებისთვის ავტომანქანებით გადაადგილება აიკრძალება. მოძრაობა შეიზღუდება რუსთაველის გამზირის მკვეთ ქუჩებზე: ალ. ჭავჭავაძის, მიტროფანე ლაღიძის, ბესიკის, ლესია უკრაინკას, ჭიჭინაძის, 9 აპრილის, ფურცელაძის, უსახელოს, ჯორჯაძის, ჭანტურიას, ლაღიძის და მესხიას ქუჩებზე.

26 მაისს, 05:00 საათიდან თავისუფლების მოედანზე მოძრაობა აიკრძალება, ხოლო შეიზღუდება ლესელიძის, დადიანის და ლეონიძის ქუჩებზე.

ავტომანქანები იმოძრავებენ შემოვლითი გზით — თაბუკაშვილის ქუჩაზე.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისს

4

ფრანგულმა გაზეთმა ხომ არ გადაამლაშა?

„აღმოსავლეთის პარტნიორობა“ ჩიხშია: რა ინტეგრაცია, რის უვიზო რეჟიმი....

8

ნიკა ჩიტაძე: ვიზალიბერალიზაცია სამომავლო თემაა, არცთუ უმნიშვნელო, მაგრამ არა გადამწყვეტი

2

მსოფლიოს უმსხვილესი ხუთი ბანკი დოლარისა და ევროს კურსით ხელოვნურად მანიპულირებდა

2

15 ქვეყანა, საიდანაც ტურისტები საქართველოში ჩამოდიან

11

საქართველოს 120 მლნ დოლარს გამოუყოფენ

საქართველოს მთავრობამ და მსოფლიო ბანკმა ორ საფინანსო ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი, რომელიც 120 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფას ითვალისწინებს.

აღნიშნული ხელშეკრულებების ფარგლებში გამოყოფილი თანხა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის მიერ კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის პროგრამული განვითარების პოლიტიკის, ასევე ქვეყანაში ინკლუზიური ზრდის პროგრამული განვითარების პოლიტიკის ღონისძიებების დაფინანსებას ითვალისწინებს.

ხელშეკრულებებს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა და მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა ჰენრი კერალიმ მოაწერეს ხელი.

როგორც ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა, აღნიშნული ხელშეკრულებები ორ სფეროს მოხმარდება, ესენია საჯარო და კერძო სექტორი.

ცოტნე გამსახურდია:

რატომ ენატრება არჩევნები ნაციონალურ მოძრაობას?

5

მას ხომ არავითარი პერსპექტივა არა აქვს!

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

იმედისმომცემი შეხვედრები რიგაში

ირაკლი ღარიბაშვილისა და შარლ მიშელის შეხვედრა რიგაში „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტის ფარგლებში გაიმართა.

მხარეებმა ასოციირების ხელშეკრულების ფარგლებში პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებაზე ისაუბრეს.

ირაკლი ღარიბაშვილმა ბელგიელ კოლეგას ევროპული არჩევანისადმი ერთგულება კიდევ ერთხელ დაუდასტურა და აღნიშნა, რომ ასოციირების ხელშეკრულება საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებში საბოლოო მიზანი არ არის.

შეხვედრისას ასევე ხაზი გაესვა ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გაფართოების პერსპექტივას და ბიზნესებს შორის კონტაქტების გამყარების აუცილებლობას.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა ბელგიის სამეფოს პრემიერ-მინისტრს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის, ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

* * *

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი რიგაში შვედეთის პრემიერ-მინისტრ სტეფან ლოფენს შეხვდა და თავისი შვედი კოლეგა საქართველოში მოიწვია.

შეხვედრაზე საუბრის მთავარი თემა საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებები, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მომავალი და შვედეთის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების სააგენტოსთან (SIA) თანამშრომლობა იყო.

ირაკლი ღარიბაშვილმა შვედეთის სამეფოს პრემიერ-მინისტრს ასოციირების შეთანხმების რატიფიცირებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და იმედი გამოთქვა, რომ შვედეთი, როგორც „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ერთ-ერთი ინიციატორი, საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესში მხარდაჭერას განაგრძობს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი რიგაში საფრანგეთის პრეზიდენტს, ფრანსუა ოლანდს შეხვდა. შეხვედრაზე განიხილვის მთავარი თემები იყო საქართველო-ევროკავშირის ასოციირების ხელშეკრულების ფარგლებში პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცება, ევროპული სამეზობლო პოლიტიკის მომავალი და საქართველოს წვლილი გლობალურ უსაფრთხოებაში.

საფრანგეთის პრეზიდენტმა შეხვედრაზე განსაკუთრებით აღნიშნა საქართველოს წვლილი ევროკავშირის კრიზისის მართვის ოპერაციებში.

საუბარი შეეხო უსაფრთხოების სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავებას, ასევე კულტურული ურთიერთობების და მოქალაქეთა შორის კონტაქტების გაფართოებას.

საფრანგეთის პრეზიდენტმა საქართველოს პრემიერ-მინისტრს მესამე შვილის შეძენა პირადად მიულოცა.

* * *

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი იტალიელმა კოლეგამ მატეო რენციმ იტალიაში ოფიციალური ვიზიტით მიიწვია.

შეხვედრისას საუბრის მთავარი თემები იყო — იტალიასთან პოლიტიკურ-ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავება, საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის მომავალი.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი მიესალმა ახალი საარჩევნო კანონის — „იტალიკუმის“ მიღებას, რომელიც იტალიაში პოლიტიკური ცხოვრების სტაბილურობას შეუწყობს ხელს და მმართველ „დემოკრატიულ პარტიას“ რეგიონულ და ადგილობრივ არჩევნებში წარმატებები უსურვა, რომელიც 31 მაისს გაიმართება.

◎ ინფორმაცია

დავით ნარმანიამ საერთაშორისო კონფერენცია გახსნა

კონფერენციის ორგანიზატორები არიან თბილისის განვითარების ფონდი, თბილისის არქიტექტურის სამსახური, კომპანია „Georgia Builds“, ევროპის არქიტექტორთა ქსელი (ENA) და თბილისის ენერგეტიკის სააგენტო (TEA).

კონფერენციაზე განიხილება თბილისის განვითარების სხვადასხვა ასპექტები, მათ შორის, წყლის სისტემების რეკონსტრუქციის, წყალარინებისა და ინფრასტრუქტურის ინოვაციური კონცეფციები.

როგორც დავით ნარმანიამ განაცხადა, ქალაქში რამდენიმე ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმა გაკეთდა, პარტნიორებთან ერთად, მომავლის ქალაქის კონცეფციის მომზადება დაიწყო, უკვე განხორციელდა გენერალური გეგმის წინამოსამზადებელი სამუშაოები. მანვე კონკრეტულ პროექტებზე ისაუბრა და ამ კუთხით, ენერგო ეფექტურობასთან დაკავშირებული პროექტები, მზიურის ტერიტორიის განაშენიანების, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიის, დიღმის ჭალებისა და მტკვრის სანაპიროს განაშენიანების რეგულირების გეგმასთან დაკავშირებული პროექტები გამოყო.

კონფერენციაზე იმყოფებოდა ევროპის არქიტექტორთა ქსელის (ENA) პრეზიდენტი ურბან კნაპი.

მსოფლიოს უმსხვილესი ხუთი ბანკი დოლარისა და ევროს კურსით ხელოვნურად მანიპულირებდნენ

„CITIGROUP“, „JP Morgan“, „Barclays“ და „Royal Bank of Scotland“ 2007 წლიდან მოყოლებული ყოველდღე, კერძო ელექტრონული ჩატის გამოყენებით, ტრეიდერების მეშვეობით, კურსზე ხელოვნურ მანიპულირებას ახდენდნენ. ამის გამო 5 ბანკი 5,7 მილიარდით დაჯარიმდა.

BBC-ის ცნობით, ბანკები საკუთარი მოგების გაზრდის მიზნით, ერთმანეთთან სხვადასხვა გარიგებებს დებდნენ. „Citigroup“, „JP Morgan“, „Barclays“ და „Royal Bank of Scotland“ კოდირებული ენის გამოყენებით, 2007 წლის დეკემბრიდან, 2013 წლის იანვრის ჩათვლით, ამერიკული დოლარისა და ევროპული ევროს კურსის დადგენაში მანიპულირებაში არიან დადანაშაულებულები.

აშშ-ის მთავარი პროკურორის განცხადებით ბანკების ქმედებამ ზიანი მიაყენა მსოფლიოს უამრავ ფინანსურ ინსტიტუტს, ინვესტორსა და მომხმარებელს.

BBC-ის ინფორმაციით, „JPMorgan“-მა, „Citigroup“-მა, „Barclays“-მა და „RBS“-მა დანაშაული აღიარეს. UBS კი თავს უდანაშაულოდ თვლის, მას ბრალად საპროცენტო განაკვეთების გაყალბება ედება. ყველაზე დიდი ჯარიმის გადახდა „Barclays“-ს დაევალა, ბანკს 2,4 მილიარდი დოლარის გადახდა მოუწევს. ბანკმა ნოემბერში საგამოძიებო სამსახურთან თანამშრომლობაზე უარი განაცხადა.

„Barclays“-ის თანამშრომლები სავალუტო ბაზარზე გაყალბებისთვის დაჯარიმდნენ.

◎ შეფასება

რა შედეგით დამთავრდა რიგის სამიტი, შეუძლია თუ არა ახალ ხელისუფლებას, მიაღწიოს ევროკავშირთან ინტეგრირებას, ან უნდა თუ არა ევროპას, გაფართოვდეს აღმოსავლეთით? — გვესაუბრება ექსპერტი საგარეო საკითხებში ნიკა ჩიტაძე.

ვიზალიბერალიზაცია სამომავლო თემაა, არცთუ უმნიშვნელო, მაგრამ არა გადამწყვეტი

— ჩემი აზრით, მოლოდინი იმისა, რომ რიგის სამიტზე საქართველოს მოქალაქეები შენგენის ქვეყნებში თავისუფლად გადაადგილების უფლებას მოიპოვებენ, იყო, თუმცა, უმეტესობა იმასაც აცნობიერებდა, რომ ჯერჯერობით, ეს ნაადრევია. მეორე მხრივ, ჩვენთვის ის უფრო მნიშვნელოვანია, რომ რიგის სამიტზე განიხილეს ევროკავშირთან ურთიერთობის სხვადასხვა პრიორიტეტი. ვიზის ლიბერალიზაციის საკითხის გარდა, არსებობს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, რომელიც უკავშირდება სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გამყარებას (ვინაიდან ევროკავშირზე მოდის საგარეო ვაჭრობის 27-30 პროცენტი და შესაბამისად, 600-მილიონიან ბაზარზე ქართულ კომპანიებს მიეცემათ შესაძლებლობა, გაასაღონ თავიანთი პროდუქცია). თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში ურთიერთობის გაღრმავება არანაკლებ მნიშვნელოვანია როგორც საქართველოსთვის, ასევე ევროკავშირისთვის (მოგეხსენებათ, რომ ჩვენმა ქვეყანამ გამოაცხადა მზადყოფნა, 150-მდე ჯარისკაცი გაგზავნოს ცენტრალურ აფრიკაში, სადაც ევროკავშირის ეგიდით სამშვიდობო ოპერაცია მიმდინარეობს) მესამე და ძალიან საინტერესო პასაჟი — მოლაპარაკება უნდა გაიმართოს იმასთან დაკავშირებით, რომ მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაცია. ეს ეხება როგორც საგადასახადო კანონმდებლობას, ასევე კანონს უცხოური ინვესტიციების შესახებ. შესაძლებლობა უნდა მიეცეთ დასავლურ კომპანიებს, დააბანდონ ფული საქართველოში. სავიზო საკითხს რაც შეეხება, ეს, ალბათ, უფრო სამომავლო თემაა და არცთუ უმნიშვნელო, თუმცა, არა გადამწყვეტი.

ეს ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ რომ განვითარდეს, საქართველოს მთავრობას აუცილებლად მოუწევს იმ რეკომენდაციების, თუნდაც შენიშვნების გათვალისწინება, რომელთაც უცხოელი კოლეგებისგან იღებენ. როგორც იცით, ეს უპირველესად უკავშირდება შერჩევით სამართალს... შესაძლო პოლიტიკურ დევნას და ა. შ.

— საქართველოს მთავრობა სწორედ ამ პასაჟს არ ეთანხმება და მას უსამართლო შენიშვნად მიიჩნევს.

— სამწუხაროა; ქვეყნის ინტერესზე მაღლა ვიწროპარტიულ ინტერესებს არ უნდა აყენებდნენ. საქართველოს მოქალაქეებისთვის უფრო მომგებიანი იქნებოდა თუ პოლიტიკური ბრძოლა სამართლებრივ ჩარჩოებში მოექცეოდა. თუ ხელისუფლება დასავლელ კოლეგებს არ ეთანხმება, დიპლომატებს, მაშინ მან ეს არგუმენტებით უნდა დაასაბუთოს.

— და თქვენ როგორ ფიქრობთ, „ქართული ოცნების“ დეკლარირებული სამართლიანობის აღდგენა როგორ განხორციელდება, თუ დამნაშავე პირები არ დაისჯებიან?

— და რას ნიშნავს „სამართლიანობის აღდგენა“. ჯერ ამაში უნდა გავერკვეთ. მაგალითად, ბოლშევიკებიც სამართლიანობაზე საუბრობდნენ, თუნდაც ფაშისტები, ან ახლა რაც ხდება ახლო აღმოსავლეთში — მუსლიმების ბრძოლა სამართლიანობისთვის... ასე რომ, „სამართლიანობის აღდგენაში“ მეტი სიცხადე უნდა შევიდეს, როგორც ჩვენი მოქალაქეებისთვის, ასევე უცხოელი კოლეგებისთვის. ნათელი უნდა გახდეს, როგორ და რა ფორმით აღსდგა სამართლიანობა, რამდენად სამართლიანად დაისაჯა დამნაშავე.

— ხელისუფლებას აკრიტიკებენ იმის გამოც, რომ უჭირს ევროპასთან კომუნიკაცია, რაც ართულებს ინტეგრაციის პროცესს. როგორ ფიქრობთ, რამდენად ადეკვატურია მთავრობა ამ მიმართულებით?

— თავდაცვისა და უსაფრთხოების კუთხით ხელისუფლების ნაბიჯები მისასალმებელია. სერიოზული გარდატეხაა სავაჭრო ეკონომიკურ წრეებში, თუმცა, პრობლემები რჩება და, სამწუხაროდ, ეს ისევ და ისევ შერჩევით სამართალს უკავშირდება, რაც რეალურად აფერხებს ინტეგრაციის პროცესს. ევროპისთვის მთავარია დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცება. ნუ ვიფიქრებთ, რომ ჯერ ეკონომიკური განვითარება მოხდება და შემდეგ დემოკრატია. ხელისუფლებამ უნდა აუხსნას ხალხს, რომ ცხოვრებისეულ კეთილდღეობას ვერ მივაღწევთ, თუ პატივს არ ვცემთ ფუნდამენტურ ღირებულებებს. რატომ ცხოვრობენ კარგად ევროპაში, აშშ-სა და კანადაში? იმიტომ, რომ მათ განამტკიცეს დემოკრატია.

მაგალითად, ჩვენ შარშან ხელი მოვაწერეთ ევროპასთან ასოციირების ხელშეკრულებას. ამ დროს უკეთესი მომავლის ნაცვლად მივიღეთ ეკონომიკური პრობლემები, ლარის დევალვაცია, ინფლაცია, მოკლედ ცხოვრება გართულდა. მოსახლეობას კარგად უნდა აუხსნას ხელისუფლებამ, რა მოხდა, რამ განაპირობა ეს პროცესები. ჩემი აზრით, ეს ყველაფერი დემოკრატიის დეფიციტის ბრალია. მე სულაც არ მინდა, ისე გამოვიდეს, რომ თითქოს მხოლოდ ახალ ხელისუფლებას ვაკრიტიკებ ამის გამო, რომ წინა ხელისუფლების პირობებში დემოკრატია აყვავდა, არა! ადრეც „ფრიდომ ჰაუსის“ მონაცემებით, ნაწილობრივ თავისუფალი ქვეყნების რიგში ვიყავით და, სამწუხაროდ, ახლაც ასეთივე ქვეყნად ვრჩებით... თუ დღევანდელ ხელისუფლებას სურს, დაუმტკიცოს თავის მოქალაქეებს და დასავლელ პარტნიორებს, რომ აშენებს დემოკრატიას, მაშინ უნდა მოახერხოს ფუნდამენტური პრინციპების დაცვა...

— როცა თავად ქვეყნის შიგნით ჰყავს სკეპტიკოსები ხელისუფლებას, მაშინ რიგის სამიტი რისი დადასტურებაა?

— როგორც ევროკავშირი, ასევე ნატო, ძალიან ინფორმირებულები არიან, უპირველესად, დიპლომატიური წარმომადგენლების მეშვეობით. დასავლეთი თვალყურს ადევნებს საქართველოში მიმდინარე პროცესებს. ფაქტია, რომ ჩვენს მთავრობას აქვს პრეტენზია, დაუახლოვდეს ევროპას. ევროპას კი, თავის მხრივ, აქვს სტანდარტები, რომლის დაკმაყოფილებაც საქართველოს მოუწევს.

რიგის სამიტზე მიღებული დეკლარაცია იმის დადასტურებაა, რომ ხელისუფლებას საგარეო მიმართულებით გარკვეული წარმატებები აქვს. საქართველოს წარდგენა ასეთ სამიტებზე, ბუნებრივია, ყოველთვის დადებით ასახვას ჰპოვებს ქვეყნის იმიჯზე და მის მომავალზე. ასე რომ, ჩემი აზრით, ევროპის გაფართოვება აღმოსავლეთით შეუქცევადი პროცესია...

ესაუბრა
თეა მოსია

დარგს შველა სჭირდება!

მეცხოველეობა და ვეტერინარია ქართული ეკონომიკის უძველესი დარგებია, რომელთაც ჩვენი ხალხის მატერიალური კულტურის განვითარების ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი უკავიათ.

დადგენილია, რომ სხვა ქვეყნებთან ერთად საქართველო ერთ-ერთია, სადაც პირველად მოიშინაურეს მსხვილფეხა საქონელი და ცხვარი.

საქართველოში მეცხოველეობის განვითარების ამოცანას ემსახურებოდნენ უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ დარგს კვალიფიციური სპეციალისტებით. ამ საქმიანობას კი სათავეში ედგა საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ-სავეტერინარო უნივერსიტეტი, რომელსაც 80 წელი უნდა შესრულებოდა.

სანამ ჯერ კიდევ არ არის უსაშველოდ გვიან...

საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ-სავეტერინარო უნივერსიტეტს 80 წელი შეუსრულდებოდა



...წინააღმდეგობათა მიუხედავად, უფროსი თაობის ქართველ ვეტერინარ ექიმთა წარმომადგენელმა კოტე ფარეიშვილმა შესძლო 1919 წლის 11 აპრილს ჩამოეყალიბებინა საქართველოში პირველ ქართველ ვეტფერშალთა სკოლა, ხოლო მოგვიანებით, 1928 წელს, ამიერკავკასიაში პირველი სავეტერინარო ტექნიკუმი. მეცხოველეები მზადდებოდნენ 1917 წელს დაარსებულ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, მაგრამ ზოოტექნიკისა და ვეტერინარიის სპეციალობის სწავლებას საფუძველი ჩაეყარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

განუზომლად დიდია ილია ჯანდიერის როლი საქართველოში აგრონომ-ზოოტექნიკოსებისა და ზოოტექნიკოსების მომზადებაში. მის მიერ თბილისში დაარსებული ცენტრალური ზოოტექნიკური საცდელი სადგური 1931 წელს გადაკეთდა ამიერკავკასიის მეცხოველეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად.

1929 წელს თბილისში გაიხსნა ექსპერიმენტული ვეტერინარიის ინსტიტუტი, რომელიც პირველი დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება იყო ამიერკავკასიაში.

1930-იანი წლების დასაწყისში საქართველოს მრავალდარგოვანმა სოფლის მეურნეობამ მოითხოვა უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების მომზადება ცალკეული დარგების მიხედვით და ასეთი კადრების მომზადება დაიწყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. ამ მდგომარეობამ კიდევ უფრო მოამწიფა ზოოტექნიკოსებისა და ვეტერინარი ექიმების მომზადების საკითხი და საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიის დადგენილებით სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ზოოტექნიკური ფაკულტეტის ბაზაზე დაარსდა საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტი ზოოტექნიკური და სავეტერინარო ფაკულტეტებით. ინსტიტუტის დაარსების ინიციატორები იყვნენ მისი პირველი დირექტორი სეონ თოხაძე, აგრეთვე ილია ჯანდიერი, მიხეილ ფარცვანიძე, ნიკოლოზ იაშვილი, დავით ახმეტელი, ლევან ლეონიძე.

ინსტიტუტმა პირველად გამოუშვა 155 ზოოტექნიკოსის ის ნაკადი, ვინც სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ჩაირიცხა და სწავლობდა.

ინსტიტუტისთვის სპეციალურად აშენდა დიდებული შენობები ვაკეში, ჭავჭავაძისა და ბარნოვის ქუჩებზე.

1956 წელს ჯერ საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი გაერთიანდა საქართველოს ვეტერინარიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან, ხოლო 1959 წელს ეს გაერთიანებული ინსტიტუტი შეუერთდა ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტს და მიიღო საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის, 1999 წლის 11 მაისიდან კი საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ-სავეტერინარო აკადემიის სახელწოდება, შემდგომ კი მას ეწოდა საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ-სავეტერინარო უნივერსიტეტი.

ინსტიტუტის სასწავლო ნაწილი 1965 წელს, ხოლო სამეცნიერო 1981 წელს ქალაქის ცენტრიდან გადავიდა სასწავლო-ექსპერიმენტული მეურნეობის „კრწანისის“ ტერიტორიაზე, სადაც ინსტიტუტის სასწავლო ნაწილს და კვლევით სექტორებს ეკავა შენობების კომპლექსი 36430 კვადრატული მეტრი ფართობით, რომლებშიც განლაგებული იყო აუდიტორიები, კაბინეტები, კათედრები, განყოფილებები, ლაბორატორიები, მუზეუმები, იქვე იყო ინსტიტუტის სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი 5827 კვადრატული მეტრი ფართობით, საცხოვრებელი სახლი თანამშრომლებისათვის, ასევე ობიექტები ინსტიტუტის სასწავლო და კვლევითი ნაწილების მომსახურებისათვის, ექსპერიმენტალური ქარხანა და სხვ. საყრდენი პუნქტები აფხაზეთში, სამტრედიაში, დედოფლისწყაროში.

ინსტიტუტი უზრუნველყოფილი იყო კარგი სპორტული ბაზით, რომელშიც შედიოდა სპორტული სადემონსტრაციო დარბაზი სპორტული თამაშებისა და ვარჯიშისათვის, ფეხბურთის სტადიონი, ფრენბურთის, კალათბურთის მოედნები და სხვ.

თანამშრომლები და სტუდენტები განსაკუთრებული სიყვარულით უვლიდნენ სასწავლებლის ქონებას და მთლიანად შეინარჩუნეს ის ქვეყნისთვის მძიმე პერიოდში.

უნივერსიტეტში დამოუკიდებლობის დაკარგვამდე (2005 წ.) მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო პრემიის 3 და მინისტრთა საბჭოს პრემიის 1 ლაურეატი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 4 აკადემიკოსი, ამავე აკადემიის 1 წევრ-კორესპონდენტი, სხვადასხვა აკადემიის 9 აკადემიკოსი, მეცნიერებათა 25 დოქტორი – პროფესორი, 156 მეცნიერების კანდიდატი, მათ შორის 81 დოცენტი, 68 მეცნიერ-თანამშრომელი, 47 უფროსი მასწავლებელი და 40 ასისტენტი.

ამ დროისათვის სპეციალისტების მომზადება მიმდინარეობდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და გადამუშავების ტექნოლოგიის, სავეტერინარო მედიცინის და ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ფაკულტეტების ქართული და რუსული სექტორების დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებებზე. აგრეთვე აკადემიის ფილიალებში ახალციხეში, ლანჩხუთსა და მარნეულში.

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტმა თავისი არსებობის მანძილზე მოამზადა 7200-ზე მეტი ზოოინჟინერი, 5750 ვეტერინარი ექიმი და სხვა სპეციალისტი, რომელთა დიდი ნაწილი დღესაც სახალხო მეურნეობასა და მეცნიერების დარგში მუშაობენ.

ინსტიტუტის კურსდამთავრებულებიდან ზოგიერთი გახდა სოციალისტური შრომის გმირი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ცნობილი მეცნიერი, ბევრ მათგანს მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, დამსახურებული ზოოტექნიკოსისა და ვეტერინარი ექიმის წოდება.

მეცნიერ-თანამშრომლების მიერ 150-მდე გამოკვლევა შესრულებულია გამოგონებისა და პატენტის დონეზე, რომელიც ინერგებოდა სახალხო მეურნეობაში.

პროფესორ-მასწავლებელთა და მეცნიერ თანამშრომელთა მიერ მომზადებული და გამოცემული იყო 102 ორიგინალური სახელმძღვანელო, 38 დამხმარე სახელმძღვანელო, გამოცემულია 38 მონოგრაფია, 170 ბროშურა, 82 რეკომენდაცია და მეთოდური მითითება.

თანამშრომლების სამეცნიერო შრომები გამოთხოვილი იყო შესაბამისი დარგების სპეციალისტების მიერ იუგოსლავიიდან, იტალიიდან, ინგლისიდან, უნგრეთიდან ამერიკის შეერთებული შტატებიდან, მექსიკიდან და ბრაზილიიდან.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა საკანდიდატო და სადოქტორო სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სპეციალიზირებული სამეცნიერო საბჭოები, სადაც დაცული იყო დისერტაციები, შესრულებული საქართველოში – 127, აზერბაიჯანში – 33, სომხეთში – 29, მოსკოვში – 10, უკრაინაში – 7, სანკტ-პეტერბურგში – 6.

სამეცნიერო-პედაგოგიური კადრები მზადდებოდა ასპირანტურის გზით, რომელიც 1957 წლიდან არსებობდა. იგი დაამთავრა 200-ზე მეტმა კაცმა.

2005 წლის დასაწყისში სამეცნიერო სექტორის ბაზაზე შეიქმნა მეცხოველეობისა და ვეტერინარიის ინსტიტუტები. ორივე ინსტიტუტის 27 ლაბორატორია განყოფილებებში მუშაობდა 170–ზე მეტი თანამშრომელი, მეცნიერებათა დოქტორები და კანდიდატები.

პედაგოგიური პერსონალი და მეცნიერ-თანამშრომლები პერიოდულად მონაწილეობდნენ და მოხსენებით გამოდიოდნენ დარგობრივ საერთაშორისო კონგრესებსა და სიმპოზიუმებზე.

სასწავლო და სამეცნიერო მუშაობაში მოპოვებული წარმატებებისათვის 41 თანამშრომელი საქართველოს პრეზიდენტის მიერ დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, 49 თანამშრომელი – მედლით, მადლობა გამოუცხადდა 35 თანამშრომელს.

სუბიექტური მიდგომებით (პროფესორ-მასწავლებლების აზრის გათვალისწინების გარეშე) ჩატარებული რეფორმის შედეგად მეცხოველეობისა და ვეტერინარიის განათლებისა და მეცნიერების ფლაგმანმა საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ-სავეტერინარო უნივერსიტეტმა 2005 წლის ზაფხულში დამოუკიდებლობა დაკარგა და გაერთიანდა აგრარულ უნივერსიტეტთან. მანამდე განათლების მინისტრის განკარგულებით კვალიფიციური მეცნიერ-მუშაკები ჯერ ერთწლიან აკადემიურ შვებულებაში გაუშვეს, შემდეგ კი გაათავისუფლეს. დღეს უმუშევრადაა დარჩენილი ახალგაზრდა პერსპექტიული მეცნიერების დიდი ნაწილი.

შენობების გასხვისებისა და ადგილმონაცვლეობის შედეგად დაიშალა ლაბორატორიები, განადგურდა ქონება.

დღეს აგრარულ უნივერსიტეტში არსებული სავეტერინარო მედიცინის ინსტიტუტი და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შექმნილი სამეცნიერო ცენტრი სრულად ვერ უზრუნველყოფს სამეცნიერო კვლევებზე მოთხოვნებს. სამწუხაროდ, სამეცნიერო ცენტრში ვეტერინარია 2 მკვლევარითაა წარმოდგენილი, ინსტიტუტი კი – 12-ით.

ქვეყანაში აუცილებლად უნდა ფუნქციონირებდეს ძლიერი სამეცნიერო ორგანიზაცია, სადაც ფართოდ გაიშლება კვლევები როგორც მეცხოველეობაში, ასევე ვეტერინარიაში.

სწავლის საფასურის ზრდამ და სხვა ფაქტორებმა კატასტროფულად შეამცირა სტუდენტთა რაოდენობა. ამის ძირითადი მიზეზი იყო 2005 წელს მიღებული კანონი „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“, რომელსაც მოჰყვა ვეტერინარიის რეფორმა და ვეტერინარი ექიმების სამუშაო ადგილების მინიმუმამდე დაყვანა. სოფლად და ქალაქად ვეტერინარი ექიმები მასობრივად უმუშევრები დარჩნენ. 1995-2005 წლებში დაიშალა სოფლად არსებული მრავალი მეცხოველეობის მეურნეობები, რამაც გამოიწვია აქ მომუშავე მეცხოველეებისა და ვეტერინარი ექიმების განთავისუფლება. სოფელი დარჩა ვეტერინარული მომსახურებისა და სწავლული მეცხოველის გარეშე. სწორედ ამ პერიოდში ახალგაზრდებმა და მათმა მშობლებმა დაკარგეს ინტერესი მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სპეციალობების მიმართ. შედეგად დღეს კურსზე სტუდენტთა რაოდენობა 17-18-დან 30-მდე მერყეობს, ეს მაშინ, როდესაც სოფლად სპეციალისტების დიდი დეფიციტია, რაზედაც მეტყველებს ვეტერინარიის დეპარტამენტის მიერ ხელშეკრულებით აყვანილი სპეციალისტების რაოდენობა და ასაკი. არის რეგიონები, სადაც არ არიან სპეციალისტები, ხოლო თუ არიან, მათი ასაკი აღემატება 60 წელს. ამ მხრივ გამოირჩევა დასავლეთ საქართველოს რეგიონები.

ვეტერინარ სპეციალისტთა მომზადებაზე გავლენა იქონია აგრეთვე საქართველოს კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“ განხორციელებულმა ცვლილებამ, რომლის საფუძველზეც ხუთწლიანი სწავლება (300 კრედიტი) ოთხწლიანი (240 კრედიტი) გახდა.

ოთხწლიანი ბაკალავრიატის საფეხურის შემოღება, გამომდინარე მისი მეტად მწირი პროგრამული მოცულობიდან, ვერ უზრუნველყოფს მაღალი კვალიფიკაციის ვეტერინარი სპეციალისტის მომზადებას. აღნიშნული დაადასტურეს ამერიკის შეერთებული შტატების ექსპერტებმა, რომლებიც აფასებდნენ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გახსნილ აგრარული სპეციალობებს. მათ დაიწუნეს ვეტერინარიის პროგრამა და წინადადებით შემოვიდნენ, კანონში შეტანილიყო ცვლილებები, რაც არ შესრულდა, შედეგად საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ვეტერინარი ექიმები არ მზადდება. ეს დიდი დანაკლისია ქვეყნისთვის. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ სასწრაფოდ ქმედითი ღონისძიებები უნდა გაატაროს მდგომარეობის გამოსასწორებლად.

მდგომარეობა უფრო გაუარესებულია იმით, რომ 2013 წლიდან ვეტერინარი ექიმი არ მომზადდება. ახალი სასწავლო პროგრამით, რომელიც მიღებულია აგრარულ უნივერსიტეტში, მომზადდება მეცხოველევეტერინარის სპეციალისტი.

ამჟამად ვეტერინარი სპეციალისტები არც ერთ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელში არ მზადდებიან, სადაც დეკლარირებულია, რომ ვეტერინარია ჩართულია სახელმწიფო დაფინანსების პროგრამაში. სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა 2 წელია იკარგება და არ მიდის სტუდენტამდე.

შექმნილი მდგომარეობა ახლო მომავალში (3-5 წელი) კიდევ უფრო გააუარესებს დღეს არსებულ დეფიციტურ მდგომარეობას განათლებულ მეცხოველეებსა და ვეტერინარ ექიმებზე. მოთხოვნა მათზე დღითი დღე იზრდება.

მდგომარეობის გამოსასწორებლად სასწრაფოდ არის მისაღები რადიკალური ზომები: შევიდეს ცვლილებები „კანონში უმაღლესი განათლების შესახებ“.

აღდგეს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო უნივერსიტეტი მძლავრი სასწავლო და სამეცნიერო ობიექტებით. ეს სასწრაფოდ უნდა მოხდეს, სანამ კიდევ არსებობს პროფესორ-მასწავლებელთა დიდი პოტენციალი.

საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ-სავეტერინარო უნივერსიტეტის ყოფილი თანამშრომლები გულისტკივილით აღნიშნავენ არშემდგარ საიუბილეო თარიღს – 80 წლისთავს მისი დაარსებიდან და აქვთ დიდი იმედი, რომ მთავრობა ახლა მაინც მიაქცევს ყურადღებას ქვეყნისთვის ასე საჭირო ზემოთ ჩამოთვლილი სპეციალობების კადრების მომზადებას.

საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ-სავეტერინარო უნივერსიტეტის ყოფილი თანამშრომლები

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისს

1918 წლის მაისს ბათუმიდან გამოგზავნილ წერილში აკაკი ჩხენკელი ეროვნულ საბჭოს არწმუნებდა, რომ ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს გადარჩენა შეუძლებელი იყო. ამასთან ერთად, ქართველი დიპლომატი აღნიშნავდა, რომ ინგლისის დახმარებით ოსმალეთის შეჩერება არარეალური იყო. აკაკი ჩხენკელი დაჟინებით ირწმუნებოდა, რომ ხსნის ერთადერთი გზა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება იყო. 1918 წლის 16 მაისს გაიმართა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ: ნოე ჟორდანია, გიორგი ლასხიშვილი, ნოე ხომერიკი, გიორგი გვაზავა, გრიგოლ ვეშაპელი, ჰაიდარ-ბეგ აბაშიძე, პავლე საყვარელიძე, ვლადიმერ გობეჩია, კონსტანტინე მესხი. სხდომას მოწვეული სტუმრის სტატუსით ესწრებოდნენ: იასონ ლორთქიფანიძე და შალვა მესხიშვილი. სხდომას თავმჯდომარეობდა ნოე ჟორდანია, მდივნობდა დავით ნახუცრიშვილი. სხდომამ განიხილა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების მომზადების საკითხი. დამოუკიდებლობის გამოცხადების მოსამზადებლად შეიქმნა კომისია შემდეგი შემადგენლობით: **ნოე რამიშვილი, დავით ვაჩნაძე და შალვა მესხიშვილი.**

სამთა კომისია ენერგიულად შეუდგა მუშაობას და მეორე დღისათვის უკვე მზად ჰქონდა სამოქმედო გეგმა. ამ გეგმის განსახილველად და დასამტკიცებლად 1918 წლის 17 მაისს კვლავ შეიკრიბა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. სხდომას დაესწრნენ: გრიგოლ ვეშაპელი, კონსტანტინე მესხი, პავლე საყვარელიძე, გიორგი გვაზავა. სხდომას მოწვეული სტუმრის სტატუსით ესწრებოდნენ: დავით ვაჩნაძე, შალვა მესხიშვილი, გენერალი ვასილ გაბაშვილი, პოლკოვნიკი კარგარეთელი, პოდპოლკოვნიკი ალექსანდრე ზაქარიაძე. შექმნილ ურთულეს სამხედრო პოლიტიკურ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა დამოუკიდებლობის გამოცხადების დღისათვის თბილისის დაცვას. სწორედ ამიტომ იყო, რომ სამთა კომისიამ აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე დააყენა საკითხი: **1) ვისთვის ჩაებარებინათ თბილისის დაცვა; 2) რომელი ორგანო უხელმძღვანელებდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების საქმეს. აღმასრულებელმა კომიტეტმა მსჯელობის შემდეგ მიიღო შემდეგი დადგენილება: 1.თბილისში გამოცხადდეს სამხედრო (ან საალყო) წესები; 2. თბილისის კომენდანტად და გარნიზონის უფროსად დაინიშნოს გენერალი ვლადიმერ ახმეტელი, ხოლო მის მოადგილედ — პოლკოვნიკი ნაქერელიძე. გენერალმა ვლადიმერ ახმეტელმა და პოლკოვნიკმა ნაქერელიძემ იმუშაონ ქართული კორპუსის მეთაურის გენერალ ვასილ გაბაშვილის ხელმძღვანელობით. 3. დამოუკიდებლობის გამოცხადებას უხელმძღვანელოს იმავე სამთა კომისიამ, რომელმაც უნდა იმოქმედოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ხელმძღვანელობით.**

დასასრული. დასაწყისი იხ. № 91-93

ბათუმში ვითარება სულ უფრო იძაბებოდა. ოსმალეთის დელეგაცია კომპრომისზე არ მიდიოდა, კომპრომისზე არ მიდიოდა არც ამიერკავკასიის დელეგაცია. აკაკი ჩხენკელს რამდენიმე კერძო შეხვედრა ჰქონდა გენერალ ოტო ფონ ლოსოვთან. გენერალმა დაადასტურა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში იგი შუამდგომლობას აღძრავდა გერმანიის იმპერიის მთავრობის წინაშე, რათა ამ უკანასკნელს ეკისრა საქართველოს დაცვა. **1918 წლის მაისის შუა ხანებისათვის ასეთი ვითარება იყო შექმნილი: სომხეთის უდიდესი ნაწილი ოსმალეთის ჯარების მიერ იყო ოკუპირებული, სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ასევე ოსმალეთის ჯარებს ეკავა, აზერბაიჯანი ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლ ძალად არ განიხილებოდა. ოსმალეთის ხელისუფლებამ კარგად იცოდა, რომ, თუ საქართველო გერმანიის გარანტით სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას გამოაცხადებდა, მაშინ საქართველოს ოკუპაცია ოსმალეთისათვის გერმანიასთან ურთიერთობის გაფუჭებას ნიშნავდა. ცხადია, მოვლენათა ასეთი განვითარება ოსმალეთს ხელს არ აძლევდა. ამიტომ არსებობდა საფრთხე, რომ ოსმალეთს საქართველო მანამდე დაეპყრო, სანამ იგი გერმანიის გარანტით დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა.** ამ საფრთხის თაობაზე აკაკი ჩხენკელი მთელი კატეგორიულობით აფრთხილებდა საქართველოს ეროვნულ საბჭოს და დამოუკიდებლობის გამოცხადების დაჩქარებას ითხოვდა. **ზოგიერთი პოლიტიკოსი ვითარებაში ვერ გაერკვა და საკმაოდ გულუბრყვილო კითხვა დასვა: რა მნიშვნელობა აქვს ოსმალეთი დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე დაგვიპყრობს, თუ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ? ამაზე აკაკი ჩხენკელი თავის წერილში პასუხობდა: თუ ოსმალეთმა საქართველო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე დაიპყრო, საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით ის დაიპყრობს რუსეთის სახელმწიფოს ნაწილს; დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ოსმალეთის მიერ საქართველოს დაპყრობა განიხილება, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის დაპყრობა და ამდენად, საქართველოს ექნება სამართლებრივი საფუძველი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში.**

ეროვნული საბჭოს წევრები დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ

თბილისში ეროვნული საბჭოს რეზიდენციაში, რომელიც ფრეილინის ქუჩაზე (დღევანდელი სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა) მდებარეობდა, დიდი გამოცოცხლება იგრძნობოდა. აკაკი ჩხენკელის მიერ 1918 წლის 23 მაისს გამოგზავნილი წერილი ეროვნულ საბჭოში 24 მაისს მიიღეს. შექმნილი ვითარების შეფასების მიზნით დაინიშნა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რომელიც 25 მაისს, ღამის 11 საათზე გაიხსნა. სხდომას ესწრებოდნენ: **ნოე ჟორდანია, გიორგი ლასხიშვილი, პავლე საყვარელიძე, კონსტანტინე გვარჯალაძე, ნოე ხომერიკი, ალექსანდრე ლომთათიძე, სილიბრისტრო ჯიბლაძე, შალვა მესხიშვილი, კონსტანტინე მესხი, ნოე რამიშვილი, იასონ ლორთქიფანიძე, გრიგოლ ვეშაპელი, გიორგი ჟურული, ალექსანდრე ასათიანი, იოსებ მაჭავარიანი, დიმიტრი ვაჩნაძე, გიორგი გვაზავა, ირაკლი წერეთელი, ევგენი გეგეჭკორი, კარლო ჩხეიძე, ვლადიმერ გობეჩია.** თავმჯდომარეობდა **ნოე ჟორდანია,** მდივნობ-

◎ პოზიცია

EBRD-ს კონფერენცია და NDI-ს

საქართველოს მედიისა და პოლიტიკოსების მიხედვით, ქვეყანა სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობს. თბილისში ტარდება საერთაშორისო დონის კონფერენციები (EBRD მაქვს მხედველობაში), მთავრობის წარმომადგენლები — პრეზიდენტი, მინისტრები მოგზაურობდნენ ევროპის ქვეყნებში რიგის სამიტის ქართველთათვის წარმატებით დასრულების მიზნით.

რომელი ერთი ჩამოვთვალო. ერთი შეხედვით, მართლაც აქტიურ საერთაშორისო-პოლიტიკურ ურთიერთობებთან გვაქვს საქმე, მაგრამ ერთი შეხედვით, ვინაიდან ოდნავი დაფიქრების და თუნდაც ზერელე გაანალიზების შედეგად ყველა ზემომოყვანილი მაგალითი მეტწილად PR-ისთვის არის გამიზნული და ქვეყნის კეთილდღეობასთან ერთობ სუსტ კავშირშია.

არადა, მარტო EBRD-ს გასვლითი შეკრების თაობაზე იმდენი ითქვა და დაიწერა ქართულ მედიაში, ტომების გამოცემა შეიძლება. ნათქვამიდან დასამახსოვრებელი ისაა, როგორ უახლოვდება საქართველო დასავლურ ცხოვრებას; რა კეთილი ზრახვები ამოძრავებთ ევროპელებს, რომ აღარაფერი ვთქვათ აშშ-ზე, საქართველოსა და ქართველების მიმართ; რა მაგრები ვართ ქართველები, როდესაც EBRD-ს ყოველწლიურ შეკრებას ვმასპინძლობთ და რა ნდობით არის ჩვენს მიმართ განმსჭვალული ევროპის ბანკი, რომ მასპინძლობის შანსს გვაძლევს.

დანაპირების შესრულებას საქმიანი გარემო ესაჭიროება, სერიოზული განსჯა სტუმარ-მასპინძლისა, ვითარების აწონ-დაწონვა, საერთაშორისო პირობების გათვალისწინება, ნდობის ფაქტორი და ა.შ. ერთია, მაჟორულ ვითარებაში ჩატარებული კონფერენცია, ქართული სტუმარ-მასპინძლობის გამოვლინება, დახუნძული სუფრები და ღვინის მდინარეები და მეორეა, ცივი გონებით ქართული რეალობის შესწავლა-გათვალისწინება, ერთობ „მოხერხებულ“ მასპინძლებთან მოლაპარაკების წარმოება და მათი მხრიდან წილში ჩაჯდომის დაუოკებელი სურვილის გაანალიზება.

ქართული რეალობა არ იძლევა უცხო ქვეყნის მიერ ფართომასშტაბიანი ინვესტიციის განხორციელებას — უპირველესად, არასტაბილური ვითარების გამო, რომელიც აქ არსებობს, ჩვენივე მთავრობის წარმომადგენლებისა და პოლიტიკოსების სისტემატური, დაუფიქრებელი განცხადებების წყალობით.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველო დიდი ინვესტიციებისთვის მეტად პატარა ქვეყანაა, შეზღუდული ბაზრით. ცხრა მთას იქით მყოფი ამერიკელი და ევროპელი დიდი ფინანსების ჩასადებად აქ არ ჩამოვა. ამას გარდა, ზემომოყვანილი რეალობიდან გამომდინარე, აგრეთვე რისკებიდან (რუსეთის აგრესია), რომც გადაწყვიტოს ჩამოსვლა, წინასწარ შეისწავლის საქართველოს შიდა ცხოვრებას, მუშახელის კვალიფიკაციას, რესურსს, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის არსებობას, მის შრომის ნაყოფიერებას, მენტალიტეტს და ა.შ.

ამ მხრივ ჩვენში არსებული მდგომარეობა, რბილად რომ ვთქვათ, სავალალოა. საბჭოთა კავშირის დროს არსებული ინტელექტუალური კადრები, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი განადგურდა. ზოგმა წვრილ ვაჭრობას მიჰყო ხელი, ზოგი სხვა ქვეყანაში გადაიხვეწა, ზოგიც, უიმედო აწმყოსა და მომავლის ფიქრებმა, დროზე ადრე წაიყვანეს იმქვეყნად. ახალი კადრები არ ჩანს. ქარხნის ამუშავებისთვის ინვესტიციის ჩადების გარდა, მუშახელია საჭირო, რაც დეფიციტია. მუშახელის გაწვრთნა კი ინვესტორს ძვირი დაუჯდება.

25-წლიანმა უსაქმურობამ (წვრილ ვაჭრობას საქმეს ვერ დავარქმევ) გააზარმაცა ხალხი. წინანდელ დისციპლინას მიჩვეული, დღეს ლაზღანდარობს. როდესაც ბაზარში მისულ მყიდველს, გამყიდველი ყურადღებას არ აქცევს და ნარდის თამაშს აგრძელებს, ან ხელოსანი, რომელიც დაინტერესებული უნდა იყოს საკუთარი შრომის გაყიდვით და ფულის შოვნით, ყურს არ იბერტყავს კლიენტის შეკითხვაზე (სხვა მაგალითებიც უხვად შეიძლება მოვიყვანოთ); როდესაც ყოველ ნაბიჯზე აწყდებით უზრდელობას, უწესობას, თავხედობას, ზერელეობას, შეურაცხყოფას, მოტყუების ფაქტებს, უცხოურ ინვესტიციებზე ლაპარაკი ზედმეტია.

დასავლელი ინვესტორი იქ ჩადებს ფულს, სადაც იაფფასიან, კვალიფიციურ მუშახელს იშოვის, სადაც შრომის დისციპლინა და ნაყოფიერება დამაკმაყოფილებელია და არა იქ, სადაც უაზრო ამბიციები და არაკვალიფიციური, უდისციპლინო შრომის ზეობაა. ასე რომ, ვიდრე ხელისუფლება გვაბრუებს EBRD-ებით, უცხოური ინვესტიციებით და სხვა „სიკეთეებით“, უმჯობესია საკუთარი ქვეყნის მდგომარეობა შეისწავლოს — ღრმად და შინაარსიანად და შემდეგ გააკეთოს დაპირებები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს დაპირებაც ისეთივე უსაფუძვლო და ქარაფშუტული იქნება, როგორიც არაერთი წინა.

EBRD არა მარტო ზედაპირული დაპირებებით გაგვახსენდება, არამედ კონკრეტული საქმით — 160 მილიონი ლარით, რომელიც ფინანსთა სამინისტრომ დახარჯა ახალი ავტომანქანების შესაძენად. მინისტრის განმარტებით, ბიუჯეტიდან გაღებული ფული EBRD-ს კონფერენციის მონაწილეთა მომსახურებას მოხმარდა. ვინ იცის, კიდევ რამდენ ე.წ. გაუთვალისწინებელი ხარჯები გაიღეს ქართველმა მასპინძლებმა საქართველოს სტუმარ-მასპინძლობის უმაღლეს დონეზე წარმოსაჩენად?

ისე ნუ გამიგებთ, თითქოს საერთაშორისო კონფერენციების მასპინძლობის წინააღმდეგი ვიყო, მაგრამ მათ (კონფერენციებს), გარდა ქართული სტუმარ-მასპინძლობის გაცნობისა, სხვა დატვირთვაც უნდა ჰქონდეს, ისეთი, ქვეყანას რომ წაადგება.

საერთაშორისო კონფერენციების, სხვადასხვა სახის ღონისძიებების მასპინძლობაში ვერავინ შეეჯიბრება შვეიცარიას, ავსტრიას, სხვა ქვეყნებს. მათ ამის დიდი გამოცდილება აქვთ და შესანიშნავად ართმევენ თავს დაკისრებულ მოვალეობას. არც ერთი მათგანი თავს უფლებას არ მისცემს, საკუთარი ბიუჯეტიდან კონფერენციაში მონაწილეთა მოსამსახურებლად ბანკეტები იხადოს ან ავტომანქანები შეიძინოს. ცხადია, მათ შეუძლიათ ამის გაკეთება, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ღონისძიების შემკვეთი დააფინანსებს ამას.

რჩევისთვის: თუკი საერთაშორისო ღონისძიების მასპინძლობა გვსურს, სასტუმროში, რესტორანში, კაფეში თუ სხვაგან, მომსახურეობის დონე უნდა ავწიოთ; ქალაქის ქუჩა ქუჩას უნდა დავამსგავსოთ და ხალხიც სხვაგვარი ცხოვრების წესს უნდა მივაჩვიოთ — დაახლოებით ისეთს, იქ რომ არის.

და კიდევ ერთი რამ, მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებო — უნდა ევროპასა და ამერიკას ინვესტიციები, ფაბრიკა-ქარხნებს, საწარმოებს რომ ააგუგუნებს? დაზუსტებით შეიძლება ითქვას — არა! ჯერ ერთი, რომ ნდომოდათ, რა უდგათ წინ? პირიქით,

დაუვიწყარი თარიღები



საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

და **დავით ნახუცრიშვილი**. ნოე ჟორდანიამ დამსწრეთ გააცნო ბათუმიდან აკაკი ჩხენკელის მიერ გამოგზავნილი წერილის შინაარსი, სადაც იგი თხოულობდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დაჩქარებას. შემდეგ ნოე ჟორდანიამ განმარტა, რომ 25 მაისს საღამოს 10 საათზე უნდა შეკრებილიყო ამიერკავკასიის სეიმი, რომელიც დაშლილად გამოაცხადებდა ამიერკავკასიის დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკას. სომხებისა და აზერბაიჯანელების მოთხოვნით სხდომა გადაიდო 26 მაისის დღის 12 საათისათვის. ნოე ჟორდანიამ შემოიტანა შემდეგი წინადადება: საქართველოს დამოუკიდებლობა გამოეცხადებინათ მას შემდეგ, რაც სეიმი დაშლილად გამოაცხადებდა ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს. ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის რამდენიმე წევრმა მხარი დაუჭირა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებას დაუყონებლივ — 25 მაისს. ასეთი გადაწყვეტილების წინააღმდეგ გამოვიდა ნოე ჟორდანია. თავისი მოსაზრება მან ასე დაასაბუთა: სანამ არ დაშლილა ამიერკავკასიის ფედერაცია, შეუძლებელია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, რადგან მოხდება ისე, რომ ერთი და იგივე ტერიტორიაზე იმოქმედებს ორი მთავრობა. ბოლოს გაიმართა კენჭისყრა. კენჭი ეყარა საკითხს: **„საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდეს დღეს თუ ხვალ“**. დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ, 25 მაისს, გამოცხადებას ხმა მისცა 6 წევრმა, 26 მაისს გამოცხადებას — 4 წევრმა. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის 25 მაისს გამოცხადება მაინც ვერ მოხერხდა, რადგან აღმოჩნდა რომ დამოუკიდებლობის აქტის ტექსტი სრულყოფილი არ იყო და გადამუშავებას საჭიროებდა. ამის გამო დამოუკიდებლობის გამოცხადება თავისთავად გადაიდო 26 მაისისათვის. აქტის ტექსტის გადამუშავება და მისი საბოლოო ვარიანტის მომზადება დაევალა ნოე ჟორდანიას. ეროვნილი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომამ განსაზღვრა სამინისტროების რაოდენობა და მთავრობის პერსონალური შემადგენლობა.

1918 წლის 26 მაისს რუსთაველის (გოლოვინის) გამზირზე მდებარე კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში გაიმართა ამიერკავკასიის სეიმის უკანასკნელი სხდომა, რომელმაც ნაშუადღევის 3 საათზე ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა დაშლილად გამოაცხადა. იმავე დარბაზში, სადაც სეიმის უკანასკნელი სხდომა გაიმართა, 26 მაისს, კვირას, ნაშუადღევის 4 საათზე და 50 წუთზე ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით გაიხსნა საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდა 42 წევრი და 36 კანდიდატი. საბჭოს სხდომაზე სიტყვით გამოვიდა ნოე ჟორდანია. სიტყვის დამთავრების შემდეგ მან წაიკითხა **„საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“**. ეროვნულმა საბჭომ ერთხმად, ყოველგვარი შესწორების გარეშე, დაამტკიცა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“. აქტის პირველი მუხლი გვაუწყებდა: **„ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“**. დამოუკიდებლობის აქტის შემდეგ ნოე ჟორდანიამ ეროვნულ საბჭოს წარუდგინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კოალიციური მთავრობის შემადგენლობა, რომელიც უცვლელად დამტკიცდა. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა ასეთი შემადგენლობით შეუდგა მუშაობას: **ნოე რამიშვილი** — მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი, **აკაკი ჩხენკელი** — საგარეო საქმეთა მინისტრი, **გრიგოლ გიორგაძე** — სამხედრო მინისტრი, **გიორგი ჟურული** — ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი, **გიორგი ლასხიშვილი** — სახალხო განათლების მინისტრი, **ნოე ხომერიკი** — მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი, **შალვა მესხიშვილი** — იუსტიციის მინისტრი, **ივანე ლორთქიფანიძე** — გზათა მინისტრი.

საქართველოს ეროვნული საბჭოს ისტორიული სხდომა დასრულდა ნაშუადღევის 5 საათსა და 55 წუთზე. სხდომის დასრულების შემდეგ ნოე რამიშვილმა მსოფლიოს სახელმწიფოთა მთავრობებს ტელეგრამით ამცნო ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს — **საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის** დაბადება.

ვახტანგ გურული

◎ ალიან-ჩალიანი

რატომ ენატრება არჩევნები ნაციონალურ მოძრაობას? მას ხომ არავითარი პერსპექტივა არა აქვს!

ცოტნე გამსახურდია 2016 წლის არჩევნების წინა პერიოდს აფასებს და აღნიშნავს, რომ სავარუდოდ, პოლიტიკურ ასპარეზზე ახალი პარტიები გამოჩნდებიან, რომელთა შორის, შესაძლოა, ისეთი ძალებიც იყვნენ, ვინც ევროპასა და ევროინტეგრაციას ნაკლებ აგიტაციას გაუწევენ.

გამსახურდია ნაციონალურ მოძრაობას შემცირებას ან საერთოდ დაშლას უწინასწარმეტყველებს.

„შეიძლება დღეს მავანს არ მოეწონოს, მაგრამ პარლამენტში, სავარაუდოდ, აღმოჩნდებიან ძალები, რომელთაც არა აქვთ ორთოდოქსული, დღემდე ისტებლიშმენტში გაბატონებული პროდასავლური შეხედულებები. შეგახსენებთ, რომ ძირითადი ლიბერალური, პროდასავლური ფასეულობები სწორედ აზროვნებისა და გამოხატვის თავისუფლებას ეფუძნება და აქედან გამომდინარე, ხსენებული ახალი ძალების პარლამენტში მოხვედრა, ვფიქრობ, კარგი იქნება:

პროდასავლურ ძალებსა და პოლიტიკოსებს მოუწევთ მეტად არგუმენტირებული, მოსახლეობისათვის გასაგები და სასარგებლო პოზიციების შემუშავება და მიღება. ამავე დროს, ეს გაზრდის როგორც მმართველი ძალის, ისე მოსახლეობისა და მესამე სექტორის პოლიტიკურ კულტურას, რაც საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში ძალიან წაადგება ქვეყნის განვითარებას.

იმედი მაქვს, ჩვენ შევდივართ განვითარების იმ ფაზაში, როცა დაპირისპირებულ მხარეთა ჭიდილი ცივილიზებულ ფორმატში ახლებური პროცესების სინთეზს მოგვცემს, როდესაც დავემშვიდობებით კერპთაყვანისმცემლობას, ავტოკრატიას და ირაციონალიზმს, ასევე ვაზელინომანიას პოლიტიკაში. მინდა, მჯეროდეს, ყოველ შემთხვევაში, რომ ეს მალე მოხდება... ასევე დარწმუნებული ვარ, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობას ვერც ერთი პარტია ვერ მოიპოვებს.

დასასრულ, მაინტერესებს, რატომ ენატრება არჩევნები ეგზომ ნაციონალურ მოძრაობას? დიახ, დიდი ალბათობით შემცირდება „ოცნების“ წარმომადგენლობაც, მაგრამ ნაციონალებს ხომ არავითარი პერსპექტივა არ გააჩნიათ, გარდა კლებისა? არის მათ პოლიტიკურ გეგმებში რაღაც მაზოხისტური, არა?

ესაა ჩემი მოკრძალებული პოლიტპროგნოზი...“ — წერს გამსახურდია.

ინტერპრესი

◎ პოზიცია

„დემოკრატიული“ კვლევები

სამრეწველო თვალსაზრისით, რაც ნაკლებად განვითარებული იქნება საქართველო, მით უკეთესი! ეს რომ ასე არ იყოს, ისეთ ხელისუფლებას და პარტიებს არ მოიყვანდნენ ქვეყნის სათავეში, რომელთა პროფესიონალიზმი, საქმის ცოდნა და პატრიოტული შემართება „პლინტუსის“ დონესაც ვერ სცილდება.

საქართველო თითქოს არის ქვეყანა, მაგრამ — თითქოს! სინამდვილეში დასავლეთის მონა-მორჩილი და აშშ-ის ელჩის საჯირითო პოლიგონია, რომელიც ისეთ თავდაცვის მინისტრს დაგვინიშნავს, ტანში ჟრუანტელს რომ მოგგვრის — ცხადია, უხერხულ, არასასიამოვნო ჟრუანტელს. ე.წ. სტრატეგიული პარტნიორის გადაწყვეტილებით ხდება ამერიკული ჩანაფიქრის საქართველოს მოსახლეობაზე თავსმოხვევა. მაგალითად NDI-ს კვლევაც გამოდგება, სადაც სრულიად ურეიტინგო ალასანია ლამის პირველ ადგილს იკავებს, პირველადგილოსან მარგველაშვილზე რომ არაფერი ვთქვათ. ასეთ ვითარებაში სრულ აბსურდად მიმაჩნია ხადურისა და მისი მსგავსების საუბრის, რომ EBRD-ს კონფერენციას დიდი ინვესტიციები მოჰყვება.

საქართველოს ხელისუფლებას თუ მართლაც სურს ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვა, დასავლეთს არ უნდა მიადგეს, მეზობლებში გაიკითხოს. სამმილიონიანი ქვეყნის ეკონომიკური გაჯანსაღებისთვის დიდი თავის ტეხა არ არის საჭირო, მით უმეტეს, როდესაც ისეთი მეზობლები გყავს, როგორებიც რუსეთი ან ირანია. რახანია ირანმა საქართველოში 3-4 მილიარდი ევროს ინვესტიციის ჩადების სურვილი გამოთქვა, მეტადრე სოფლის მეურნეობაში, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება შეგნებულად იგნორირებს ამ ამბავს. რუსეთის ერთ მხარესთან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების დამყარებით საწარმოებიც ამუშავდება, მუშახელიც დასაქმდება და ხალხიც დაპურდება. მაგრამ უნდა კი ეს საქართველოს მთავრობას, უფრო სწორად ვაშინგტონს? ნათელია, რომ არა!

ნათელია, თუნდაც ჩვენი „დამრიგებლის“, ბალტიისპირა ქვეყნების ცხოვრებიდან გამომდინარე. ამერიკელთა გადაწყვეტილებით, ეს ქვეყნები რახანია ევროკავშირს შეუერთეს. შეუერთეს და უთხრეს — თქვენ ევროკავშირის წევრები იქნებით, მაგრამ თქვენი ფაბრიკა-ქარხნები არ გაგვაგონოთო.

„ბალტიისპირეთში რომ მგზავრობ, ხვდები ჩონჩხებს, ბეტონის დიდ კოლოფებს, ნახევრად დანგრეულ შენობებს, აჭედილი ფანჯრებით, დაჟანგული არმატურით. ბალტიისპირეთი ინდუსტრიულად განვითარებული რეგიონი იყო. ადგილობრივმა პოლიტიკოსებმა მოსპეს მრეწველობა და თავს იმით იმართლებენ, რომ მათ ქვეყნებს იგი არ სჭირდებოდა, რადგან არარენტაბელური იყო. შედეგად, მოსახლეობა დროებითი სამუშაოებით ირჩენს თავს და ლოთობს ან ემიგრირებს“, — წერს მკვლევარი ნოსოვიჩი თავის წიგნში „ ევროპის მივარდნილი გარეუბანი“.

საქართველოს ხელისუფლებას არც საკუთარი მაგალითის ანალიზის უნარი აქვს და არც სხვისის. ბალტიისპირა ქვეყნების, ბულგარეთის, რუმინეთის, საბერძნეთის, სხვების მძიმე გაკვეთილებიდან გამომდინარე არათუ ევროკავშირში შესვლაზე უნდა ოცნებობდე, იქ მყოფი, სამშვიდობოზე თავის დასაღწევად უნდა ფიქრობდე. მაგრამ არა — იქ გვინდა და არა იმიტომ, რომ კარგია, არამედ იმიტომ, რომ სხვას ანუ აშშ-ს სურს ასე. ოღონდ ევრაზიულ კავშირში არ იყო და მზადაა ასოცირებული წევრობით დასავლეთზე მიგვაბას.

მიგვაბას, მაგრამ არ შეგვიშვას. და ასე გვამყოფოს მრავალი წლის განმავლობაში. რას აკეთებს ხელისუფლება? ევროპაში დადიოდა და საქმეს „აწყობდა“, რიგის სამიტისთვის რომ ევროპასთან უვიზო მიმოსვლა მიეღო. და ისევ ბალტიისპირეთის საკალალო მაგალითი — სწორედ უვიზო მიმოსვლის შედეგად, უფრო სწორად ევროპაში გამგზავრების, შრომისუნარიანი ბალტიელები ევროპის ქვეყნების შავ მუშებად იქცნენ. დაცარიელდა სოფლები და ქალაქები. მრეწველობა-სოფლის მეურნეობაზე უარის თქმამ გამოიწვია ყოველივე აღნიშნული. ხალხი მიემგზავრება, თან ერთი სურვილით — აღარ დაბრუნდნენ უკან.

„ყველას, ვინც მავანთა საიდანღაც დაბრუნებაზე ფიქრობს, მინდა ვუთხრა — დაივიწყეთ! რეემიგრაცია არ იქნება, იგი არცაა საჭირო, რადგან ლიტვა, ალბათ, არასდროს იქნება ისეთი მდიდარი და კეთილგანწყობილი, როგორც დიდი ბრიტანეთია.

იქ უფრო რბილი ჩვეულებები აქვთ. ადამიანები გაცილებით ზრდილობიანები არიან, ჩვენს სამშობლოში კი ცხოვრების მძიმე პირობების გამო, თავხედობა ყოველდღიურ მოცემულობად იქცა“, — წერს ლიტველი ჟურნალისტი არტურ რაჩასი.

და ეს ბალტიისპირეთში — საბჭოთა პერიოდის წარმტაც „ევროპაში“. ნუთუ ყოველივე ამას ანგარიში არ უნდა გაუწიოს ხელისუფლებამ? ნუთუ სხვისი მაგალითი არ უნდა გაითვალისწინოს და დაუფიქრებლად შეტენოს ქვეყანა იქ, სადაც საამურობის ნატამალიც არ არის და თუ არის, მხოლოდ მასზე, ანუ ხელისუფლებაზე ვრცელდება?

სადამდე უნდა გაგრძელდეს „ჯერ თავო და თავოს“ პოლიტიკა? ხელისუფლება არც იმას ხედავს, რომ თავისი უნიათო მოქმედებით ერთი-ორად გაზარდა ევრაზიული კავშირის მომხრეთა რაოდენობა, NDI-ს მონაცემებით, მან 34% შეადგინა. რეალურად, ალბათ, რა მაღალი პროცენტი იყო - 34 რომ დაწერეს?!

და ნაცვლად იმისა, გონს მოეგოს — „პოლიტოლოგ“ თორნიკე შარაშენიძის პირით გვეუბნება — თუ საქართველოს ხელისუფლება გააგრძელებს ბრძოლას იმ ორგანიზაციების წინააღმდეგ, ვინც რუსეთს ებრძვის (მას ალბათ „თავისუფალი ზონა“ ჰქონდა მხედველობაში), თუ გაგრძელდება რუსული ტელეარხების პროპაგანდა და რუსული არასამთავრობო ორგანიზაციების მოქმედება, ეს პროცენტი გაცილებით მეტი იქნება. ამ განცხადებით მან მოუწოდა ხელისუფლებას, დახუროს რუსული ტელემაუწყებლობა, არასამთავრობო ორგანიზაციები.

საქართველოში ერთადერთი საინფორმაციო ტელეარხი „RTR როსიაა“, დანარჩენი — გასართობი ტელეარხებია. არც რუსული არასამთავრობო ორგანიზაციებია. ერთმა ტელეარხმა, როგორ შეძლო პროდასავლური პოლიტიკის პრორუსულად შებრუნება? იქნებ საქმე ამაში კი არა, არამედ იმაშია — მთავრობის 24-წლიანი უნიათო მუშაობა რომ ჰქვია?

რაც შეეხება „პოლიტოლოგის“ მოწოდებას - დახურვა-გაუქმების შესახებ, ცოტაც და წიგნებიც დაიწვება საგანგებოდ აგიზგიზებულ კოცონზე — ისე, როგორც ფაშისტების დროს. ესეც თქვენი სანაქებო დემოკრატია.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

პაულო კოელიო

მაქთუბი

ქართულად გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა

პარასკევ საღამოს შინ მრუნდები, გაზეთებს ფურცლავ, რომელთა გადათვალიერებაც მთელი კვირა ვერ მოასწარი, მერე ტელევიზორს რთავ, ხმას ახშობ და დებ საყვარელ-მუსიკიან დისკს.

პულტის წკაპაწკუპით გადადიხარ არხიდან არხზე, თან თვალს ავლებ გაზეთების ფურცლებს და ყურადღებით უსმენ მუსიკას. გაზეთებში ახალი არაფერია, რასაც ტელევიზორი უჩვენებს, ყველაფერი უკვე ნანახი გაქვს, თანაც არაერთხელ, ეს მუსიკაც ზეპირად იცი. შენი ცოლი ბავშვებს დასტრიალებს, თავისი ცხოვრების საუკეთესო წლებს მსხვერპლად სწირავს და კარგად არც ესმის, რატომ შვრება ამას.

და იმის საქციელს მხოლოდ ერთი ახსნა აქვს იმისსავე თავში: „ასეთია ცხოვრება“. არადა, ცხოვრება სულაც არ არის ასეთი, ცხოვრება სავსეა სულიერი აღმაფრენით, შეეცადე, რომ გაიხსენო, სად გაგებნა ეს სულიერი აღმაფრენა, სად გადამალე. წაიყვანე ცოლი და ბავშვები, დაედევნე, კვალში მიჰყე, სანამ გვიან არ არის. სიყვარულს ჯერ არცვისთვის ხელი არ შეუშლია თავისი ოცნებისთვის კვალდაკვალ დევნაში.

შობის წინადღეს ლოცვადმავალს ცოლთან ერთად წარმავალი წლის ბალანსი გამოჰყავს. პირენეების სოფლის ერთადერთ რესტორანში ვახშამზე ლოცვადმავალი ჩივის, როგორც მინდოდა და როგორც ვფიქრობდი, საქმე ისე არ გამოვიდაო.

ცოლი თვალს არ აშორებს მორთულ-მოკაზმულ საშობაო ნაძვისხეს, პატარა დარბაზს რომ ამშვენებს. ლოცვადმავალი ხვდება, რომ ცოლი უგულისყუროდ უსმენს, და სიტყვას სხვა რამეზე ჩამოაგდებს.

– რა ლამაზი ნათურებია!

– კი, ლამაზია, – ეპასუხება ცოლი. – მაგრამ კარგად თუ შეათვალიერებ. დაინახავ, რომ ათობით ანთებულ ნათურას შორის ერთი გადამწვარია. ჩემი აზრით, იმის მაგივრად, რომ გავლილი წელიწადი ისე აღგექვა, როგორც ათობით კაშკაშა სიკეთე, შენ მაინცდამაინც იმ ერთადერთ ნათურაზე გადაიტანე გულისყური, რომელიც გადამწვარია და არ ანათებს.

ხედავ, გზაზე აგერ ის წმინდა კაცი რომ მიდის? – ეკითხება ერთი დემონი მეორეს. – ახლა მე მივალ და მაგის სულს დავიპყრობ.

– ეგ შენს ხმას ვერც გაიგონებს, – მიუგებს მეორე დემონი. – რამეთუ ეგ ყურადღებას მხოლოდ იმას აქცევს, რაც მაგისთვის წმინდაა.

მაგრამ პირველმა თვითკმაყოფილმა დემონმა თავი მთავარანგელოზ გაბრიელად გადაიქცია და წინ დაემჯვიტა წმინდანს.

– მოვედი, რათა გიხვაიშნო, – მიუთხრო მან.

– შენ, გეტყობა, ვიღაცაში შეგეშალე, – უთხრა წმინდანმა. – რამეთუ ჩემს ცხოვრებაში არცრა ისეთი არა ჩამიდენია რა, რომ მთავარანგელოზის გამოცხადება დამემსახურებინოს.

და თავის გზას აედევნა, გულში ფიქრადაც არ გაუვლია, რომ საგანგებოდ დარწყმულ მახეს გადაურჩა.

ანჟელა პონტუალი ბროდვეიზე თეატრში იყო და ანტრაქტის დროს ფოიეში გავიდა.

იქ უამრავი ხალხი ირეოდა – ეწეოდნენ, საუბრობდნენ, სვამდნენ.

არცვინ ყურს არ უგდებდა პიანისტს, რომელიც როიალზე უკრავდა, ანჟელამ სასმლის წრუპვა დაიწყო და თან მუსიკას უსმენდა. პიანისტი უშთაგონებოდ უკრავდა, თითქოს მობეზრებულ ბეგარას იხდისო, და ფიქრობდა: „ნეტავი მალე დაირეკებოდეს ზარი!“

მესამე სირჩა ვისკი რომ გამოცალა და ცოტა შეზარხოშდა კიდეც, ანჟელა პიანისტს მიეახლოვა და მიაძახა:

– რატომ მხოლოდ თქვენთვის არ უკრავთ?

პიანისტმა განცვიფრებულმა შეხედა ანჟელას და წამისყოფით იმის დაკვრა დაიწყო, რის მოსმენაც თავად ენიაზებოდა. და ფოიეში ეგრევე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

ხოლო დაკვრა რომ დაამთავრა, ყველამ აღფრთოვანებულმა დასცხო ტაში.

წმინდა ფრანცისკ ასიზელი ჯერეთ ისევ ძალიან, ახალგაზრდა, მაგრამ უკვე სახელხმიანი იყო, როცა სიმდიდრეზე უარის თქმა და სიღარიბის ქადაგება გადაწყვიტა.

წმინდა კლარა თავისი სილამაზის გაფურჩქვნის ხანაში იყო, როცა უმანკოების აღთქმა დადო.

წმინდა რაიმუნდო ლილი თავისი დროის უთვალსაჩინოეს ინტელექტუალებთან მეგობრობდა, როცა მაღალი საზოგადოება მიატოვა და უდაბნოში განმარტოვდა.

რამეთუ სულიერი ძიება, სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გამოწვევაც არის, და ვისაც ის თავის პრობლემათაგან გასაქცევად სჭირდება, შორს ვერ წავა.

და ვისაც მეგობრების შეძენა ვერ მოუხერხებია იმისთვის აზრი არა აქვს საერო ცხოვრებიდან გაქცევას. არც იმისთვის არა აქვს აზრი სიღარიბის აღთქმის დადებას, ვისაც ლუკმა პურის შოვნა არ ძალუძს... ანდა რა ხეირია თვინიერებაში, უკეთუ გაუბედავი და სულმოკლე ხარ?

ერთია, როცა რაღაცას ფლობ და იმაზე უარს ამბობ. და სავსებით სხვა რამ არის, როცა არცრის პატრონი არა ხარ, მაგრამ მქონებელს განსჯი. არცრა იმაზე უფრო ადვილი არა არის რა, ვიდრე სპეტაკად და უბიწოდ ცხოვრება, უკეთუ მოკლებული ხარ მამაკაცურ ძალას, მაგრამ რა აზრი აქვს მაშინ ცხოვრებას? და რა არის მაშინ შენი განდგომის ფასი?

მოძღვარი უბნობს:

– ადიდე ქმნილება უფლისა, პირისპირ დაუდექი სოფელქვეყანას და შეიძელ შენივე თავის დამარცხება.

სულაც არ არის ძნელი ახირებულ კაცად ყოფნა! უკეთუ სხვათაგან შორს დაიჭერ თავს, მაშინ უკვე არცროდის შენად არ გაიხდი სხვის ჭორს.

ვეღარ შეიცნობ გაუზიარებელი სიყვარულის საფრთხეს, აღარც იმედგაცრუება გეცოდინება და არც კიდევ ოცნებათა აუხდენლობა.



სულაც არ არის ძნელი ახირებულ კაცად ყოფნა! უკეთუ არ შეიწუხებ თავს იმის აუცილებლობით, რომ ვისიმე ტელეფონის ზარს უპასუხო, არ აიტკივებ აუტკივარ თავს იმათი გულისთვის, ვისაც ჩვენი შეწევნა ეჭირვება, არც კიდევ კეთილი საქმეებისა და გულმოწყალებისა გამო აიტკივებ.

სულაც არ არის ძნელი ახირებულ კაცად ყოფნა! უკეთუ სპილოს ძვლის კოშკში ჩაიკეტები, რათა ცხოვრებაში აღარასოდეს ცრემლი არ გადმოგვარდეს თვალიდან. უკეთუ სიცოცხლის ბოლომდე რაღაც როლს შეასრულებ და ისე იცხოვრებ.

სულაც არ არის ძნელი ახირებულ კაცად ყოფნა! უკეთუ განდგები და რაც რამ შენს ცხოვრებაში საუკეთესოა, ყველაფერს უკუაგდებ.

ექიმს პაციენტმა მიმართა:

– ექიმო, მიშველე რამე, შიშმა შემიპყრო და მოსვენება დამაკარგვინა, სიცოცხლის სიხარულს ვეღარა ვგრძნობ.

– აქ, ჩემს კაბინეტში, ერთი თაგვი მყავს, წიგნებს მიღრღნის, – უთხრა ექიმმა. – იმის გამო სასოწარკვეთილებას თუ მივეცემოდი, ის თაგვი დამემალებოდა, მე კი მარტო იმის დასაჭერად დევნას მოვუნდებოდი.

მაგრამ ამის ნაცვლად ყველაზე უფრო მნიშვნელოვან და ღირებულ წიგნებს საიმედო ადგილას ვინახავ, თაგვს კი საშუალებას ვაძლევ, რომ ღრღნას, რაც უნდა.

ამიტომაც თაგვი თაგვად რჩება და მონსტრი არა ხდება. თქვენც შეეცადეთ ისეთი რამის პოვნას, რისიც შეგეშინდებათ და მთელი თქვენი შიში ამ „ისეთ რამეს“ მიაპყარით, მაშინ ყოველივე დანარჩენს უშიშრად შეხედავთ და ყველანაირი ელეთმელეთი შეგეშვებათ.

მოძღვარი უბნობს:.

– ცხოვრებაში ხშირად ის უფრო ადვილია, რომ ჩვენ გვიყვარდეს, ვიდრე ის, რომ ჩვენ ვუყვარდეთ.

ცოტა არ იყოს, გვეძნელება სხვათაგან ხელის აპყრობა და მხარდაჭერა. ხან ისე ვიქცევით, ვითომ სრულიად დამოუკიდებელნი ვართ, რაც ჩვენთა მოყვასთ სიყვარულის გამოჩენის საშუალებას არ აძლევს.

ბევრი ადამიანი სიბერეში თავის შვილებს სწორედ ამ საშუალებას უსპობს, ანუ იმ ალერსისა და ზრუნვის დაბრუნების საშუალებას, რასაც ისინი ყოველწუთიერად გრძნობდნენ მშობელთაგან, სანამ იზრდებოდნენ.

ასევე ბევრ ქმარს (და ცოლსაც), ბედისგან დამეხილს, ერცხვინება მეუღლის კისერზე ყოფნა, და ამის გამო სიყვარულის ტალღები არ ფრთონავენ.

ადამიანისთვის აუცილებელია, რომ მოყვასისგან სიყვარულით ნაკარნახევ სულიერ მოძრობას შეიგრძნობდეს.

ისიც აუცილებელია, რომ ვინმე მოდიოდეს ჩვენთან ხელის ასაპყრობად, მხარდასაჭერად, გასაძლიერებლად, რათა შევძლოთ გზის განგრძობა.

უკეთუ ამ სიყვარულს კრძალვით და წმინდა გულით შევიგრძნობთ, მივხვდებით, რომ სიყვარულის არსი გაცემა და მიღება კი არა, გაზიარება და თანაგრძნობაა.

ედემში მოსეირნე ევას გველი მიეახლოვა და წაუსისინა:

– მიდი, მიირთვი ვაშლი.

ევამ, რომელსაც ღმერთის გაფრთხილება და დარიგება ახსოვდა, დაეუარა:

– მიდი, მიირთვი ვაშლი, – არ ეშვებოდა გველი, – რამეთუ ყოვლის ულამაზესი უნდა იყვე შენი ქმრისთვის.

– ყოვლის ულამაზესი ვერ ვიქნები, – მიუგო ევამ, – რადგან აქ ჩემს მეტი ქალი არცვინ სხვა არ არის.

– ძალიანაც არის! – გადაისისინა გველმა.

ევამ არ დაუჯერა, და მაშინ გველმა ის პატარა ტბის პირას მიიყვანა.

– ის იქ არის, ტბის ძირას, ადამი გიმალავს.

ევა დაიხარა და ტბის წყნარ წყალში ლამაზი ქალი მოიხილა. და იმწუთასვე, ისე, რომ არც დაფიქრებულა, შეჭამა გველის მიერ შეთავაზებული ვაშლი.

ნაწყვეტები უსახელო თხზულებიდან –„წერილი გულს“:

„გულო ჩემო, არცროდის არ განგსჯი, არც გაგკიცხავ და არც შენიდან ამოხეთქილი სიტყვებისა შემრცხვება ოდესმე. ვიცი, რომ შენ საყვარელი შვილი ხარ უფლისა, და ის გინახავს სიყვარულის კაშკაშა შუქის გულისგულში.

მე გენდობი, გულო ჩემო. მე შენი ვარ და შენს მხარეზე ვარ. იცოდე, მოგიხსენიებ ჩემს ლოცვებში და მუდამ იმის მთხოვნელი ვიქნები, რომ არ მოგკლებოდეს მეოხება და თანადგომა, რაც აგრერიგად გეჭირვება.

მე მჯერა შენი სიყვარულისა, გულო ჩემო. და ისიც მჯერა, რომ ყველას გაუზიარებ ამ სიყვარულს, ვინც იმსახურებს ანდა ვინც საჭიროებს.

დიამც ჩემი გზა შენს გზად იქცეს, რათა ერთად ვიაროთ სულიწმიდისკენ.

ძალიან გთხოვ, რომ გჯეროდეს ჩემიც. იცოდე, რომ მიყვარხარ და სულ იმის ცდაში ვარ, თავისუფალი მყავდე იმად და იმიტომ, რათა მხიარულად განაგრძო ჩემს მკერდში ძგერა. ყველაფერს ვიზამ იმისთვის, რათა ყოველთვის ჩემ გვერდით იყო და რათა შენს ახლოისად ჩემი ყოფნით არცროდის უხერხულობა არ იგრძნო და არც შეწუხდე“.

მოძღვარი უბნობს:

– როცა გადავწყვეტთ, რომ უნდა ვიმოქმედოთ და დავიწყებთ მოქმედებას, სავსებით ბუნებრივად ჩნდება არაერთი მოულოდნელი კონფლიქტი. ისიც ბუნებრივია, რომ ყველა ამ კონფლიქტს აუცილებლად მოსდევს უამრავი ჭრილობა, იარა, ნაკეჭნი.

მაგრამ იარა-ჭრილობები პირს შეიკრავენ, მოშუშდებიან და გვიტოვებენ ნაჭრილობევ-ნაიარევებს, ნაკეჭნებს – გადატანილი ბრძოლების უტყუარ ნიშანს! ეს ნიშანი თან გვდევს სამარის კარამდე და ძალიანაც გვშველის. უკეთუ ერთხელაც გული კეთილსასურველი და ლაღი ცხოვრებისკენ გაგვიწევს ანდა კიდევ რაღაც მიზეზით უცებ წარსულში დაბრუნების მოურეველი სურვილი გაგვიჩნდება, საკმარისია, რომ მხოლოდ თვალი შევავლოთ ამ ძველ ნაიარევ-ნაჭრილობევებს – და ეს სურვილი უმალ გაგვივლის.

ნაიარევები კიდევ ერთხელ დაგვანახებენ ბორკილების ნაკვალევს, გაგვახსენებენ ციხის კედლებში თავს გადახდენილ

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 89-93

ათას საშინელებას – და კვლავ წინ მოძრაობას განვაგრძობთ.

თავის წერილში კორინთელთა მიმართ პავლე მოციქული გვეუბნება, რომ ლმობიერება სიყვარულის ერთ-ერთი უმთავრესი თვისებაა. ნუ ვიგულმავიწყებთ ამას – სიყვარულსა და სინაზეს.

რამეთუ ულმობელი და მკაცრი სული არ ემორჩილება უფლის ხელს, რომელიც ცდილობს ამ სულისთვის ღვთის შესაბამისი სახის მინიჭებას.

ყარიბი ვინმე თემშარას მიუყვებოდა ჩრდილოეთ ესპანეთში და ბაღში წამოწოლილი გლეხი დაინახა.

– ყვავილებს თელავ, – უთხრა მან გლეხს.

– სულაც არა, – მიუგო გლეხმა. – ვცდილობ, რომ ამათგან სინაზე და ნარნარება გადმომედოს.

მოძღვარი უბნობს:

– ილოცე ყოველდღიურად. ნურცრას ნუ ითხოვ და ნურცრა სიტყვებს ნუ წარმოთქვამ. ის კი არა, თუ გინდა თავადაც ნუ შეიცნობ, რაზე ლოცულობ, მაგრამ მთავარია, რომ ყოველდღიური ლოცვა უცილობელ, გარდუვალ ჩვევად გექცეს. თავდაპირველად თუ გაგიძნელდეს, საკუთარ თავს შეუძახე: „მომავალი კვირიდან მუდამდღიურად ვილოცებ“. და სუყოველი შვიდი დღე იმეორე შენი აღთქმა.

და გახსოვდეს – შენ არა მარტო უმჯიდროეს კავშირს ამყარებ სულიერ სამყაროსთან, არამედ ამასთანავე ნებისყოფასაც იწრთობ და განსაზღვრული რიტუალებისა და ადათ-წესების წყალობით მოახერხებ იმ წესრიგის განმტკიცებას, ურომლისოდაც იოლას ვერ გახვალ ამუამინდელ არცთუ ადვილ ცხოვრებისეულ ბრძოლაში.

ოღონდ არამც და არამც არ შეეცადო შენი „გაკვეთილის“ გადაწევას, და დღეს თუ არ ილოცებ, ხვალ სამაგიეროდ ორჯერ ილოცო. არც იფიქრო ერთ დღეში შვიდჯერ ლოცვა იმ აზრით, რომ მთელი დანარჩენი კვირის დავალება თითქოს უკვე შეასრულე.

ვინაიდან ამქვეყნად არის ისეთი რამ, რაც გამოზომილი და მკაფიო რიტმით უნდა ხდებოდეს.

ერთი ბილწი და ბოროტი კაცი, გაღმა სოფელში რომ გავიდა, – ჯოჯოხეთის ბჭესთან ანგელოზი შეხვდა და მიუთხრო:

– თუნდაც ერთი კეთილი რამ საქმე თუ გიქნია ცხოვრებაში, ჩათვალე, რომ სამუდამო სატანჯველს გადარჩენილი ხარ.

– არა, არცრა კეთილი საქმე წამლად არ ჩამიდენია, – მიუგო ცოდვილმა.

– კარგად დაფიქრდი, – არ ეშვებოდა ანგელოზი.

და მაშინ ბოროტ კაცს წამოაგონდა, რომ ერთხელ ტყეში ყოფნისას ბილიკზე ობობა შეამჩნია და გვერდი აუარა, ფეხი არ დავადგა, არ გავჭყლიტოო. ანგელოზს გაეღიმა, და წამერთ ცით ობობას ქსელი დაეშვა, ცოდვილი კაცი ეგრევე დაებღაუჭა და სამოთხის სრასახლისკენ აჰყვა ქსელს. სხვა ცოდვილნიც უმალ შეეცადნენ ქსელით სარგებლობას, მაგრამ ბოროტმა კაცმა სუყველას ფეხის კვრა დაუწყო, შეეშინდა, ზედ აჩონჩხლილთა სიმძიმისგან ქსელი არ გაწყვეტილიყო. არადა, ქსელი მართლაც გაწყდა, და ბოროტი კაცი კვლავ ჯოჯოხეთში ჩაქანდა.

– საწყენია, – მოესმა იმას ანგელოზის ხმა. – შენმა თავკერძობამ და ეჩოკაცობამ ბოროტებად გიქცია მთელ შენს სიცოცხლეში ჩადენილი ერთადერთი კეთილი საქმე.

მოძღვარი უბნობს:

– გზაჯვარედინი წმიდაწმიდა ადგილია. ლოცვადმავალმა იქ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. ამიტომაც არის, რომ ღმერთები, ჩვეულებისამებრ, გზაჯვარედინებზე პურობენ და იძინებენ.

სადაც გზები კვეთენ ერთმანეთს, იქ ორი მძლავრი ენერგია იყრის თავს – არჩეული გზის ენერგია და დაგდებული გზის ენერგია. ორივე გზა ერთვის ერთმანეთს – ოღონდ უმოკლესი ვადით.

ლოცვადმავალს დასვენებაც შეუძლია, ცოტა თვალის წატყუებაც და მებოძირზე მცხოვრები ღმერთებისთვის რჩევის კითხვაც. ოღონდ დარჩენით იქ სამუდამოდ არცვის დარჩენა არ ეგების: თუ არჩევანი უკვე მიტანილია ვინმეზე ან რამეზე, გზა უნდა განაგრძო, მგლის მუხლგამობმულმა წინ უნდა იარო და უკან დარჩენილ სავალზე აღარ უნდა იფიქრო.

სხვაგვარად გზაბოძალი უბედურებად იქცევა.

ჭეშმარიტების გულისთვის კაცობრიობას ყოვლის უფრო საშინელი არაერთი დანაშაული აქვს ჩადენილი.

ადამიანებს კოცონებზე წვავდნენ.

ანადგურებდნენ მთელ ცივილიზაციებს.

ვინც ხორციელ ცოდვას სჩადიოდა, იმათგან თავს შორს იჭერდნენ. ვინც თავის, საგანგებო გზას რასმე ეძებდა, იმათ ინაპირებდნენ, ავიგინდარებდნენ.

ერთი იმათგანი იმავე ჭეშმარიტების გულისთვის ჯვარზე გააკრეს.

ოღონდ სიკვდილის წინარე იმან ჭეშმარიტების დიადი განსაზღვრება დატოვა.

ეს ის არ არის, რაც მტკიცე გულდაჯერებულობას გვძენს.

არც ის არის, რაც სიღრმეს გვაუწყებს.

არც კიდევ ის, რასაც ბრმარწმენათა დილეგში ვყავართ გამომწყვდეული.

ჭეშმარიტება ადამიანებს თავისუფალთ გვხდის.

– შეიცანით ჭეშმარიტება, და ჭეშმარიტება გაგათავისუფლებთ, – თქვა იმან.

ერთმა ბერმა სცეტის სავანეში მძიმე რამ შესცოდა. უხმეს განდეგილთაგან ერთ-ერთ ყველაზე ბრძენს, რათა გაერჩია საქმე. ის კარგა ხანს უარზე იყო, მაგრამ ბოლოს, როგორც იქნა, დაიყოლიეს. სანამ საქმის გასარჩევად წამოვიდოდა, ბრძენმა განდეგილმა ტაგანი აიღო და რამდენიმე ადგილას გახვრიტა. მერე სილით გაავსო და სცეტის მონასტრის გზას დაადგა.

წინამძღვარმა ჰკითხა, ეგ რას ნიშნავსო.

– მე მოყვასისა ჩემის განსასჯელად მოვედი, – მიუგო განდეგილმა. – ჩემი ცოდვანი მე ისევე გამდის, როგორც ამ დახვრეტილ ტაგანს – სილა. მაგრამ ვინაიდან უკან არ ვიყურები და ვერ ვამჩნევ საკუთარ ცოდვებს, ამიტომ მოვედი სხვისი ცოდვების გასარჩევად.

და ბერები ეგრევე განშორდნენ დამნაშავეს.

პირენეებში ერთი პატარა საყდრის კედელზე ასეთი წარწერაა: „უფალო, დაე ეს სანთელი, რომელიც ეს-ეს არის დავანთე, არ ჩაქრეს და გამინათოს გზა ძნელი არჩევნის ჟამს.

მინდა, რომ ამისი ცეცხლი ის ალი იყოს, რომლითაც შენ ჩემში ამოწვავ თავკერძობას, პატივმოყვარეობას, უწმინდურ აზრებს. დაე მანვე გამოაწრთოს ჩემი გული და მასწავლოს სიყვარული.

მე არ ძალმიძს შენს ტაძარში ხანგრძლივ ყოფნა, მაგრამ ამ სანთელთან ერთად აქ სამუდამოდ ვტოვებ ჩემს ნაწილს. მეოხ მეყავ, რათა განვაგრძო ეს ლოცვა ყოველდღიურ წვალებასა და ფუსფუსში. ამინ“.

ლოცვადმავლის ერთ-ერთმა მეგობარმა გადაწყვიტა რამდენიმე დღის ნეპალში გატარება, ბუდისტურ მონასტერში.

და ერთხელაც, საღამო ჟამს, სავანის მრავალრიცხოვან ტაძართაგან რომელიღაცაში მან მავანი ბერი მოიხილა, გაღიმებული საკურთხეველში დაბრძანებული.



– რას უღიმით? – ჰკითხა მან.

– იმას ვუღიმი, რომ ბანანის აზრს ჩავწვდი, – ბერმა ტავარჯუხი გახსნა, იქიდან ნახევრად დამპალი ბანანი ამოიღო. – აი ცხოვრება, რომელმაც ჩაიარა და არ იყო გამოყენებული საჭირო დროს, უკვე ძალზე გვიანია.

მერმე მან ტავარჯუხიდან ახლა მწვანე ბანანი ამოიღო, უჩვენა და ისევ შეინახა.

– ეს კი ის ცხოვრებაა, რომელიც ჯერეთ არ დამდგარა და ხელსაყრელ ჟამს უნდა დაველოდოთ.

შემდეგ მწიფე ბანანი ამოიღო, კანი შემოაცალა, ნახევარი ჩემს მეგობარს უწილადა და მიუთხრო:

– ეს კი ამუამინდელი ცხოვრებაა. შეიძელი, რომ უშიშრად განვლო.

ბები კონსუელომ შვილი კინოში წაიყვანა, ფული ჯიბეში ზუსტად ბილეთის სამყოფი ედო.

ბიჭს ერთი სული ჰქონდა, სანამ კინოში მივიდოდნენ და წარამარა კითხულობდა, მალე მივალთ თუ არაო.

შუქნიშანთან რომ გაჩერდნენ, გლახა-მათხოვარი დაინახეს, გზისპირას იჯდა და თხოვნით არცრას არ ითხოვდა.

– სულ მიეცი, რაც ჯიბეში ფული გაქვს, – მოესმა ბების ვიღაცის ხმა.

დედა გაოგნდა, რა უნდა მივცე, ბავშვს კინოში წაყვანას შევპირდიო.

– ახლავე სულ მიეცი, – ჯიუტად გაუმეორა ხმამ.

– ნახევრის მიცემა შემიძლია, ბიჭი მარტო შევა, მე შესასვლელთან დავუცდი, – თქვა დედამ.

მაგრამ ხმას შეკამათება არ ეწადა:

– სულ მიეცი.

ბების დრო არ ჰქონდა, რომ შვილისთვის აეხსნა, რა ხდებოდა. მინა ჩამოუშვა და რაც ფული ჰქონდა, გლახა-მათხოვარს გადააწოდა.

– ღმერთი არსებობს, რაც თქვენც დამიმტკიცეთ, – თქვა გლახა-მათხოვარმა. – დღეს ჩემი დაბადების დღეა. დარდიანად ვიყავი, რომ ჩემს მათხოვრობას საშველი არ დაადგა. უკვე მრცხვენია კიდეც. და გადავწყვიტე, რომ დღეს აღარ მეთხოვა მოწყალება. ვიფიქრე, თუ ღმერთი არსებობს, საჩუქარს რასმე ის გამომიგზავნის-მეთქი.

მავანი და მავანი დიდი ჭექა-ქუხილის დროს სოფელში გზად მიდიოდა და დაინახა, რომ ერთ-ერთ სახლს ცეცხლი ეკიდა.

რომ მიუახლოვდა, წითლად აბურბურებულ ოთახში უკვე წამწამებშეტრუსულ კაცს ვისმე მოატანა თვალი.

– რას უზიხარ, კაცო, ვერ უყურებ, სახლი გეწვის! – მიაძახა იმ მავანმა და მავანმა.

– ვიცი, – მიუგო იმან.

– მაშ, რაღატომ არ გამოდიხარ?

– ქუჩაში თავსხმაა. დედაჩემი კი მუდამ იმას მეუბნებოდა, წვიმაში გარეთ არ გახვიდე, თორემ ფილტვების ანთებას დაიმართებო.

ჯაო ძიმ როგორღაც შენიშნა:

– ჭეშმარიტად ბრძენი ის არის, ვისაც ძალუძს ამა თუ იმ ვითარების შეცვლა, როცა ხედავს, რომ სხვა გზა არ დარჩენია.

ზოგიერთი მაგიური ადათ-წესი ითხოვს, რომ წელიწადში ერთი ან ორი დღე (ვთქვათ, შაბათი ან კვირა) მიეძღვნას მოწაფეთაგან უხილავი კავშირის დამყარებას იმ ნივთებთან, რომლებიც შინა აქვთ.

ისინი ეხებიან თითოეულს და ხმიერად კითხულობენ:

– ვითომ უამისოდ მართლა იოლას ვერ გავალ?

თაროდან წიგნს იღებენ:

– განა ოდესმე კიდევ გადავიკითხავ ამას?

ათვალიერებენ სამახსოვრო საგნებს:

– ნუთუ ნამდვილად მნიშვნელოვნად მიმაჩნია ის წამი, რომელსაც ეს ზარაურთები, ანუ სახლის მამშვენებელი ჭურჭელი, მახსენებს!

აღებენ კარადებს:

– ვინ იცის, რა დროა გასული იმის შემდეგ, რაც ბოლოჯერ მეცვა ეს პერანგი? ნუთუ კიდევ მჭირდება?

მოძღვარი უბნობს:

– სუყველა საგანს თავისი საკუთარი ენერგია აქვს.

უკეთუ არ ვსარგებლობთ ამა თუ იმ საგნით, ისინი, ის საგნები, ბოლოს და ბოლოს, დამდგარ წყლად იქცევიან, რაც თავისთავად სისხლისმწოველ მწერთა ბუდე და სიდამპლის წყაროა.

საჭიროა ყურადღებით ყოფნა და ენერგიისთვის თავისუფლად მიმოქცევის შესაძლებლობის მიცემა.

უკეთუ ძველმანებს შეინახავ, ამით ახალს თავისი თავის გამოხატვისა და გამოვლინების შესაძლებლობას მოუსპობ.

ერთი ძველი პერუული ლეგენდა მავან ქალაქზე მოგვითხრობს, სადაც ყველა თურმე ბედნიერი იყო. ვისაც რა მოეპრიანებოდა, იმას იქმოდა, და სუყველანი მშვენივრად უგებდნენ ერთმანეთს, გარდა პრეფექტისა, რომელიც დანაღვლიანებული იყო იმის გამო, რომ ვერცრას ვერ მართავდა.

ციხე ცარიელი იყო, არც ვინ სასამართლოს არ მიმართავდა, გაკოტრებულ სანოტარო კანტორასაც კარი გამოკეტილი ჰქონდა, რადგან სიტყვა ბეჭდიან ქაღალდზე ბევრად ძვირი ღირდა.

ერთ მშვენიერ დღესაც პრეფექტმა საიდანღაც სულ მუშაგელია ბიჭები მოიყვანა, ქალაქის მთავარ მოედანს ხელდახელ მესერი შემოავლეს. მესერს იქიდან დღე და ღამე ჩაქუჩის რტყმის ხმა და ხერხის ხრიალი ისმოდა.

ერთ კვირაში პრეფექტმა ქალაქელნი საზეიმო გახსნაზე მიიწვია. მესერი ეგრევე მოშალეს, და შეკრებილ ხალხს თვალწინ... სახრჩობელა დაუდგა.

ეს სახრჩობელა ვითომ რისთვის დაგვიდგაო, ერთმანეთს ეკითხებოდნენ ერთ დროს ბედნიერნი ქალაქელნი, და ნელ-ნელა ყველამ კანონის ძალას მიაკითხა იმ საქმეების გამო, რომელთაც ადრე ერთმანეთში შეხმატკბილებულად და მორიგებით აგვარებდნენ. და გაჩნდა კარგა გვარიანი რიგები სანოტარო კანტორასთან, რათა გაეფორმებინათ საბუთები, რომელთაც უწინ ჩვეულებრივი პატიოსანი სიტყვა ცვლიდა. და კანონისგან შეფუცხუნებულმა მოქალაქეებმა კვლავ ანგარიშის გაწევა დაუწყეს პრეფექტს.

ლეგენდა გადმოგვცემს, რომ სახრჩობელა არცროდის დანიშნულებისამებრ გამოყენებული არ ყოფილა. მაგრამ საკმარისი გამოდგა მარტოოდენ აღმართვა იმისა, რომ ქალაქში ყველაფერი შეცვლილიყო.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკება ახალ ფორმატში ვერ ეტევა

მოსკოვსა და თბილისს შორის ურთიერთობებში ახალი გამაღიზიანებელი ფაქტორი გაჩნდა. საქართველოს ოპოზიციამ მოითხოვა 2 ქვეყანას შორის იმ დიალოგის დაუყოვნებლივ შეწყვეტა, რომელსაც აწარმოებენ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის მოადგილე გრიგორი კარასინი და საქართველოს პრემიერის სპეციალური წარმომადგენელი ზურაბ აბაშიძე. მიზეზი გახდა ბატონი კარასინის დანიშვნა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მუდმივ წარმომადგენლად სამხრეთ ოსეთთან მოკავშირეობის შესახებ ხელშეკრულების რატიფიკაციის დროს. ქართველი პოლიტიკოსები არანაკლებ ააღელვა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის განცხადებამ ორმხრივ მოლაპარაკებაში აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის შესაძლო ჩართვის შესახებ. სხვათა შორის, ჩვენი მოსაუბრეები საქართველოს მთავრობაში ოპოზიციის რადიკალურ მოთხოვნებს არ იზიარებენ.

რუსეთის ფედერაციის ხელშეკრულებამ სამხრეთ ოსეთთან საქართველოში ახალი სკანდალი გამოიწვია

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის გადაწყვეტილება — დანიშნოს გრიგორი კარასინი თავის მუდმივ წარმომადგენლად სამხრეთ ოსეთთან მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ ხელშეკრულების რატიფიკაციის დროს — საქართველოს ხელისუფლებამ და ოპოზიციამ „ქვეყნისთვის შემარცხვენლად“ მიიჩნიეს. მიზეზი ისაა რომ, ბატონი კარასინი წარმოადგენს რუსეთის ხელმძღვანელობას ეგრეთ წოდებულ პრაღის ფორმატში ორმხრივი მოლაპარაკების შესახებ საქართველოს პრემიერის სპეციალურ წარმომადგენელ ზურაბ აბაშიძესთან.

„კატეგორიულად მოვითხოვთ აბაშიძე კარასინის მოლაპარაკების ფორმატის დაუყოვნებლივ ლიკვიდირებას“, — განაცხადა 21 მაისს ოპოზიციური ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გუგავამ, რომელმაც განმარტა: ამ ფორმატის შენარჩუნება „იქნება ის, რომ საქართველოს ხელისუფლება მოღალატურად აღიარებს აფხაზეთისა და ეგრეთ წოდებული სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობას“. „საქართველოს ევროპული დემოკრატების“ ლიდერის პაატა დავითაიას სიტყვებით, გრიგორი კარასინი „ნაბიჯ-ნაბიჯ იურიდიულად ხელახლა აფორმებს საქართველოს კუთვნილ ტერიტორიას რუსეთზე“.

„ჩვენ არაერთგზის განგვიცხადებია, რომ კარასინისა და აბაშიძის მოლაპარაკება მხოლოდ ზიანს აყენებს ჩვენს სახელმწიფო ინტერესებს“, — განაცხადა ჩვენთან საუბარში დეპუტატმა ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან ნუგზარ წიკლაურმა. მან შეგვახსენა, რომ ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პარტიაში ორმხრივ შეხვედრებს ყოველთვის მიიჩნევდნენ „მოსკოვის მცდელობად, წალეკოს მრავალმხრივი მოლაპარაკების ჟენევის ფორმატი (მასში რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს გარდა მონაწილეობენ აფხაზეთი, სამხრეთი ოსეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, ევროკავშირი, გაერო და ეუთო), ხოლო გრიგორი კარასინის დემონსტრაციული დანიშვნა ცხინვალთან შეთანხმების რატიფიკაციაში წარმომადგენლად „მხოლოდ ხაზგასმით აღნიშნავს მოსკოვის ამ მისწრაფებებს“.

არანაკლები ემოცია თბილისში გამოიწვია ამ დღეებში რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის განცხადებამ გრიგორი კარასინსა და ზურაბ აბაშიძის მოლაპარაკებაში აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის წარმომადგენელთა ჩართვის შესახებ. ამ დროს რუსეთის მინისტრმა უკანდახევით აღნიშნა, რომ ასეთი ფორმატი შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ შესაბამისი წინადადების შემდეგ „ქართველი პარტნიორების“ მხრიდან.

„ეს გამორიცხულია, — განაცხადა ჩვენთან საუბარში საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანაბარუფლებიანობის მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა — **ჩვენ რუსეთთან ვლაპარაკობთ ცალკე, აფხაზეთთან და ოსებთან კი — ცალკე“.** გამოყოფილი რესპუბლიკების ჩართვას მოლაპარაკების ორმხრივ ფორმატში საქართველოს მინისტრმა შესაძლებელი უწოდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც „მოსკოვი გაიწვევს უკან მათი დამოუკიდებლობის აღიარებას“. ამ დროს გრიგორი კარასინის ამასწინანდელ დანიშვნას ბატონი ზაქარეიშვილი არ მიიჩნევს პრინციპულად მოსკოვსა და თბილისს შორის ურთიერთობათა განვითარებათა თვალსაზრისით: **„კარასინი მონაწილეობს ყველა ფორმატში, ამაში არაფერია არაჩვეულებრივი“. მან დაუმატა, რომ მთავრობა მოლაპარაკებას აბაშიძე-კარასინის ფორმატში „წარმატებულად და სასარგებლოდ“ მიიჩნევს.**

თავად ზურაბ აბაშიძემ 21 მაისს ჩვენი გაზეთი დაარწმუნა, რომ მისი მოლაპარაკება რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის ხელმძღვანელის მოადგილესთან გაგრძელდება. „თუმცა, ჩემთვის გაუგებარია, რა ჰქონდა მხედველობაში სერგეი ლავროვს, როდესაც განაცხადა ჩვენს დიალოგში აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის წარმომადგენელთა ჩართვის შესახებ, — დაუმატა დიპლომატმა. — ჩვენ არასოდეს გვილაპარაკია ამის შესახებ გრიგორი კარასინთან.

Коммерсантъ

◎ ფრანგულმა გაზეთმა ხომ არ გადაამლაშა?

„აღმოსავლეთის პარტნიორობა“ ჩიხშია: რა ინტეგრაცია, რის უვიზო რეჟიმი....

„ევროკავშირმა გადაწყვიტა უკრაინასთან, საქართველოსთან, მოლდოვასთან და სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებთან (სომხეთის, აზერბაიჯანის და ბელარუსის ჩათვლით) ინტეგრაციის პროცესი შეაჩეროს. ბრიუსელი ამას რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების მიზნით აკეთებს“, — წერს ფრანგული გაზეთი „Le Monde“.

„ევროპელები, განსაკუთრებით კი ევროპის წამყვანი ქვეყნები, რუსეთთან ორი წლის დაძაბული დამოკიდებულების შემდეგ, ვლადიმირ პუტინზე ზეწოლის შერბილების შესაძლებლობას ეძებენ. ამ შემთხვევაში ურთიერთობის ფორმას მეტი მნიშვნელობა ექნება, ვიდრე მის შინაარსს. შესაბამისად, ბრიუსელი ევროკავშირის გაფართოებას შეაჩერებს“, — აღნიშნავს გაზეთი.

როგორც სტატიაშია ნათქვამი, „რადგანაც ევროკავშირს ამ ეტაპზე რუსეთთან დაძაბული ურთიერთობის განმუხტვა სურს, ბრიუსელი ექვს პოსტსაბჭოთა ქვეყანასთან ინტეგრაციის პროცესს შეანელებს, განსაკუთრებით კი უკრაინასთან, საქართველოსთან და მოლდოვასთან, რომლებსაც ევროკავშირთან უკვე ასოცირების ხელშეკრულება აქვთ გაფორმებული. **„ევროკავშირთან პარტნიორობის პოლიტიკა რუსეთის საწინააღმდეგოდ არ უნდა გატარდეს“,** — განუცხადა გაზეთს ერთ-ერთმა წყარომ პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდის გარემოცვიდან.

ამიტომაც, წერს „Le Monde“, ევროკავშირი რიგის სამიტზე ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს, განსაკუთრებით კი საქართველოს, უკრაინას და მოლდოვას, მცირე საჩუქრებს შესთავაზებს: თბილისს — სავაჭრო კავშირების გაღრმავებას, კიევს და კიშინიოვს (ამ უკანასკნელს უკვე უვიზო რეჟიმი აქვს მიღებული) — კრედიტებისა და ინვესტიციების გაზრდას. **„შესაბამისად, ევროპულ სივრცეში მათი ნამდვილი ინტეგრაცია გაურკვეველი ვადით გადაიდება“,** — დაასკვნის გაზეთი.

„უკრაინის ევროკავშირში გაწევრიანების საკითხი დღის წესრიგში ამ ეტაპზე არ დგას“, — ასე უთხრა გამოცემას ბრიუსელელმა მაღალჩინოსანმა, ხოლო მისმა ფრანგმა კოლეგამ უკრაინას საერთოდ იმედი გადაუწურა: **„უახლოეს პერსპექტივაში ამაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება“.**

გაზეთი აღნიშნავს, რომ უკრაინა და საქართველო ტყუილად ელოდებიან რაღაც სიგნალს სამომავლო ინტეგრაციისათვის, მაგალითად, უვიზო რეჟიმის მიღებას. რიგის სამიტზე ეს არ მოხდება. „Le Monde“ იხსენებს უკრაინის პრემიერ-მინისტრის იაცენიუკის მოწოდებას, პარიზში გაცხადებულს: **„ჩვენ გვინდა, გვირაბის ბოლოს სინათლე დავინახოთო“, მაგრამ მის განცხადებას ევროპამ ყური მოუყრუა.**

მოამზადა სიმონ კილაძემ,
„რეპორტიორის“ ანალიტიკური სამსახურის ხელმძღვანელმა.

დედამიწის ზურგზე

ექიმმა ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ისაუბრა

შარშან ისრაელის მთავრობის ხელმძღვანელის წინამდებარე ჯირკვლის შემოწმებამ აჩვენა მისი გადიდება. წელს ნეთანიაჰუს კანცელარიამ გამოაქვეყნა ახალი ანგარიში მისი ჯანმრთელობის შესახებ, რომელიც მოამზადა პერსონალურმა ექიმმა დოქტორმა ცვიკა ბერკოვიჩმა.

ამერიკულმა სასამართლომ უარი განაცხადა, მოანყოს ახალი პროცესი მფრინავ იაროშენკოს საქმესთან დაკავშირებით

კონსტანტინ იაროშენკოს განაჩენი ამერიკის შეერთებულ შტატებში 2011 წლის 7 სექტემბერს გამოუტანეს — იგი მიიჩნიეს დამნაშავედ ნარკოტიკების კონტრაბანდის მიზნით შეთანხმებაში და მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა 20 წლით. რუსეთელი სასჯელს იხდის ფორტ-დიკსის ციხეში. მფრინავის დაცვა აგრძელებდა დამადასტურებელი მასალების შეკრებას მისი უდანაშაულობის შესახებ და დაჟინებით მოითხოვდნენ ახალ პროცესს.

მეზღვაურებს, რომლებიც ჩინეთში ბუქსირ „კონსტანტინ ბონდარენკოზე“ გაიჩხირნენ, ვალის გადახდა დაუწყეს

ჯერჯერობით მეზღვაურებს გადაუხადეს ვალების მხოლოდ მცირე ნაწილი: მეთაურთა შემადგენლობას 40-40 ათასი რუბლი, რიგითებს — 10-15 ათასი რუბლი, განაცხადა ეკიპაჟის ერთ-ერთმა წევრმა. ადრე იტყობინებოდნენ, რომ ვალი მეზღვაურების წინაშე დაახლოებით 4 მილიონ რუბლს შეადგენს. ხომალდის მფლობელებმა ასევე დაიწყეს ვალის გადახდა გემის რემონტისათვის.

ამერიკელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს ყველაზე კაშკაშა გალაქტიკა სამყაროში: იგი მზეზე 300 ტრილიონჯერ უფრო ძლიერ ანათებს

იგი იმყოფება დედამიწიდან 12,5 მილიარდი სინათლის წლის მანძილზე. ეს აღმოჩენა გაკეთდა 2010 წელს მიღებული მონაცემების საფუძველზე. ახალ გალაქტიკას მიაკუთვნეს სახელი WISE J 223607. 57-052635.0. ამას გარდა ამერიკელმა მეცნიერებმა შეძლეს, აღმოეჩინათ კიდევ ორი ათეული საგანგებო კაშკაშა გალაქტიკა, რომლებიც მოსჩანან მხოლოდ ინფრაწითელ დიაპაზონში.



ფილები „აჩქარებდნენ“

დედამიწის ტექტონიკური ფილების მოძრაობის შესწავლამ აჩვენა, რომ მათი სიჩქარე საგრძნობლად გაიზარდა. ამჟამად ისინი გაცილებით სწრაფად მოძრაობენ, ვიდრე ეს უკანასკნელი ორი მილიარდი წლის მანძილზე ხდებოდა. თანაც, აღსანიშნავია, რომ წინა გაზომვებს... სრულიად საპირისპირო შედეგი ჰქონდა, ამდენად მიღებული შედეგები შესაძლოა, საკამათო იყოს.



მაგრამ, თუკი ახალი კვლევების შედეგები სწორია, მაშინ მათ საფუძველზე გასაგები ხდება ზოგიერთი ბოლოდროინდელი აღმოჩენა, კერძოდ, **დედამიწის მანტიაში დიდი ოდენობით წყლის არსებობა. საქმე ისაა, რომ იქ დედამიწის ზედაპირზე არსებული ერთად აღებული ყველა ოკეანის მოცულობაზე მეტი წყალია!**

ოკეანის ქერქის წარმოშობა და ნგრევა პირდაპირაა დაკავშირებული ტექტონიკური ფილების მოძრაობასთან, როცა ეს ფილები მოძრაობენ, მანტიიდან გავარვარებული მაგმა ამოდის და ქვავდება. როცა ტექტონიკური ფილები ერთმანეთს ეჯახება, მათი შეხების ადგილებში მთები წარმოიშვება, ხოლო თუკი ერთი ფილა მეორის ქვეშ იძირება, მაშინ მაგმა ისევ უკან მანტიაში შეიწოვება ხოლმე.

დედამიწის შიდა სიმხურვალე, რომელიც ტექტონიკურ ფილებს ათბობს, დროის მანძილზე თანდათანობით იკლებს. სიდნეის ახალი უელსის უნივერსიტეტის მკვლევარებმა 2013 წელს ტექტონიკური აქტივობა შეისწავლეს და დაასკვნეს, რომ ბოლო 1,2 მილიარდი წლის მანძილზე ფილების მოძრაობა შემცირდა, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების ნიუ-მეხიკოს სამთო საქმისა და ტექნოლოგიების ინსტიტუტის სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ **ტექტონიკური აქტივობა, პირიქით, იზრდება. მკვლევარებმა ყურადღება მიაქციეს ახალი სამთო სარტყელების წარმოქმნას, რომლებიც ფილების შეჯახების დროს წარმოიშვება, ხოლო მიღებული შედეგები ვულკანურად ქანების შესახებ ინფორმაციასთან გააერთიანეს. მიღებული შედეგი ერთმნიშვნელოვანი იყო: ტექტონიკური ფილების მოძრაობა აჩქარდა – ბოლო ორი მილიარდი წლის მანძილზე გაორმაგდა არა მარტო კონტინენტურ შეჯახებათა ოდენობა, არამედ კონტინენტების განედების ცვლილებათა საშუალო სიჩქარეც.**

სპეციალისტები თვლიან, რომ შესაძლოა ტექტონიკური აქტივობა მანტიაში წყლის უზარმაზარი მასების არსებობითაა განპირობებული: **როცა ქერქი მანტიაში იძირება, მაშინ მას წყალიც მიჰყვება, თუმცა კი, მისი გარკვეული ნაწილი კვლავ ზედაპირზე ამოდის ვულკანური ამოფრქვევების სახით. შემდეგ წყალი მინერალებში ილექება და მანტიას უფრო თხევადად ქმნის. თანაც ეფექტი იმდენად ძლიერია, რომ შეუძლია მატერიის გამყარების დაძლევა, რომელიც დედამიწის შიგნეთის თანდათანობით გაციების შედეგია.**

„თუკი თამაშის დროს ბურთი კენგურუს მოხვდება“...

ავსტრალიაში კენგურუს მრავალ სახეობაზე ნადირობის აკრძალვას ის შედეგი მოჰყვა, რომ უსაფრთხოდ მყოფმა ამ ცხოველებმა ადამიანთა შევიწროება უკვე დასახელებულ ადგილებში დაიწყეს.

ფერმერები მათ გამუდმებით ერეკებიან, უმეტესწილად ძაღლების დახმარებით, პოლიცია კი გზებზე გამაფრთხილებელ ნიშნებს აყენებს: „ფრთხილად, კენგურუები!“ ცხოველები სულ უფრო ხშირად ქალაქების გარეუბნებშიც აღწევენ და დიდად აზიანებენ ადგილობრივ პარკებს. თუმცა კი, ფერმერებისგან განსხვავებით, რომლებიც კენგურუებს მავნებლებად აღიქვამენ, ქალაქის მცხოვრებნი მათ აუღელვებლად აღიქვამენ. მაგალითად, კვინსლენდის შტატის ქალაქ იეპუნის გოლფ-კლუბის წესდებაში ახალი მუხლიც კი შეიტანეს, რომლის თანახმად, „თუკი თამაშის დროს ბურთი კენგურუს მოხვდება, მოთამაშეებმა თამაში ისე უნდა განაგრძონ, თითქოს არაფერი მომხდარიყოს“.

ოთხი ჰუმორის თანაფარდობა

ბევრმა შეიძლება არ იცოდეს, რომ სიტყვა „იუმორი“... ძველ საბერძნეთში წარმოიშვა, თუმცა კი, იქ მას სამედიცინო დატვირთვა ჰქონდა.

ანტიკური ხანის ექიმებს მიაჩნდათ, რომ ადამიანის მდგომარეობა სხეულში სითხეების, მათ შორის, **სისხლის, ლიმფის, ყვითელი და შავი ნაღვლის** თანაფარდობაზეა დამოკიდებული. ამ სითხეებს „ჰუმორი“ ეწოდება. იმ შემთხვევაში, თუკი ოთხივე ჰუმორი იდეალურ თანაფარდობაში იყო, კაცი ჯანმრთელად და ბედნიერად ითვლებოდა.

კატების კუნძული

ინდოეთის ოკეანეში პატარა კუნძულ ფრიჯოსტის მოსახლეობას... მხოლოდ კატები შეადგენდნენ.

ინდოელმა მცენიერებმა დაადგინეს, რომ 1980 წელს კუნძულის სანაპიროსთან მარჯნის რიფებზე სავაჭრო გემი დაიღუპა. გადარჩენილმა მეზღვაურებმა ნაპირს კი მიაღწიეს, მაგრამ შველას ვერ ეღირსნენ, მაგრამ მათთან ერთად გადარჩენილი რამდენიმე კატა მომავალში იმდენად გამრავლდა, რომ ამჟამად კუნძულზე ათასზე მეტი ცხოველი ბინადრობს. ისინი თევზით, კიბორჩხალებითა და ზღვის ზღარბებით იკვებებიან, რომელთაც ნაპირისპირა წყლებში დიდი ოსტატობით იჭერენ.

ბუნების „სიტყვარის“ წამკითხველები

ალბათ, მსოფლიოში არც ერთი მებადური ზღვაში სათევზაოდ ისე არ გავა, წინასწარ თუ არ ექნება მეტ-ნაკლებად საიმედო პროგნოზი იმისა, იქნება თევზი თუ არა, ან თუკი იქნება – როდის.

ამასთან, პროგნოზი შეიძლება იყოს მიღებული ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, ვთქვათ, თანამგზავრებიდან, ასევე მამაპაპისეული მეთოდებით: ძველად მეთევზეები საკმაოდ ზუსტად განსაზღვრავდნენ ზღვის აკვატორის გარკვეულ უბნებზე თევზების გუნდების მისვლის დროს, რისთვისაც ბუნებრივ საზღვაო მინიშნებებს იყენებდნენ. ამ მხრივ არც შრილანკიელი მეთევზეები არიან გამონაკლისი, თუმცა, მათი „პროგნოზისტები“ ერთობ თავისებური ხალხია: დღენიადაგ ისინი ზღვის ნაპირას ჩარჭობილ მაღალ ბოძებზე არიან ამძვრალები და უკიდეგანო სივრცეს იქიდან აკვირდებიან. ქარის მიმართულება და სიჩქარე, წყლის ფერი, ღრუბლიანობა, ცის ელფერი, ტალღების ხასიათი და ფორმა – ბუნების მთელ ამ „სიტყვარს“ მებადურები უშეცდომოდ კითხულობენ. ამიტომაცაა, რომ თუკი ბოძზე ამძვრალი მეთვალურე დაიძახებს „თევზია, თევზი!“ – ეს იმას ნიშნავს, რომ იმ დღეს მეთევზეებს კარგი ნადავლი ექნებათ.

ჯონ დალტონის სავალალო შეცდომა

საცვლები დედამიწის მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის ჩვეული რამაა. არადა, ცხოველები საცვლებს არ ატარებენ, თუმცა კი, არცთუ შორეულ წარსულში მას არც ადამიანები ხმარობდნენ. ამის მიუხედავად, სამოსელის ამ ინტიმური ნაწილის შესახებ ბევრი საგულისხმო რამის თქმა შეიძლება.

● მაგალითად, ქალის აზღუდი მხოლოდ მე-19 საუკუნის დამლევს გამოიგონეს. საინტერესოა, რომ აზღუდის ერთგვარ ნაირსახეობას ქალები ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში ხმარობდნენ – ეს სამკერდე შემოსახვევები იყო, თუმცა კი, შუა საუკუნეებში ისინი „გადაავიწყდათ“: ქალბატონები კორსეტებს ატარებდნენ. მაგრამ ისინი მათ სხეულზე ისე მაგარდ იჭერდნენ, რომ ექიმებმა ბოლოს და ბოლოს მათ ტარებაზე ხელი ააღებინეს;

● 1975 წელს ჩიკაგოში... საჭმელი საცვლების (candy pants) გაყიდვა დაიწყეს. მათ შაქარყინულისგან ამზადებდნენ და საკმაოდ პოპულარულიც იყო;

ამჟამად დიდად პოპულარული ეგრეთ წოდებული „ფუშ აფის“ აზღუდების დიდი ხანი ტარება არ შეიძლება. ისინი იმისათვისაა შექმნილი, რომ მკერდის მოცულობა და ფორმა შეცვალონ, მედიკოსები კი მიიჩნევენ, რომ ისინი, შესაძლოა, სიმსივნის წარმოშობის მიზეზი გახდეს;

● საცვლების მწარმოებელმა ერთ-ერთმა ამერიკულმა ფირმამ, გასული საუკუნის 90-იან წლებში სამუშაოზე... პატიმრები აიყვანა. სხვათა შორის, ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთ ციხეში საცვლების ნაკლებობაა – საქმე ისაა, რომ მსჯავრდებულებს მათი ხელით გარეცხვა აკრძალული აქვთ, სამრეცხაოები კი საქმეს ვერ აუდიან;

● არსებობს ვერსია, რომ დალტონიზმის **(ფერების ვერგარჩევის სნეულება – რედ.)** მოვლენის აღმოჩენა... საცვლებს უკავშირდება. ჯონ დალტონმა დედამისს, რომელიც უაღრესი ასკეტურობით გამოირჩეოდა, ხასხასა წითელი ფერის წინდები აჩუქა, თუმცა კი, დარწმუნებული იყო, რომ ისინი მუქი ლურჯი ფერისაა. დედამ ვაჟიშვილი საყვედურებით აავსო, ხოლო მედიცინამ ახალი სნეულება „შეიძინა“.

პისტოლეტების „მეფე“

მსოფლიოში რამდენიმე საყოველთაოდ ცნობილი ცეცხლსასროლი იარაღია, რომელიც მისი შემქმნელის გვარს ატარებს – მაგალითად, სემუელ კოლტის (აშშ) რევოლვერი (1836 წლის პატენტი), ჰაირემ მაქსიმის (აშშ) ტყვიამფრქვევი (1883 წლის პატენტი), ჰუგო შმაისერის (გერმანია) ავტომატი. მათ შორის ერთ-ერთია ჯონ მოზეს ბრაუნინგის პისტოლეტი (1900 წლის პატენტი). სროლა ჯონმა ანბანზე ადრე ისწავლა, 14 წლის ასაკში კი პირველი თოფის კონსტრუქცია შეიმუშავა.



სიცოცხლის მანძილზე ჯონ ბრაუნინგმა საკუთარი სახელით 37 კუთხვილი და 18 ლულაგლუვი იარაღის მოდელი გამოუშვა, მათთვის ისეთი მასრები შექმნა, რომლებსაც დღესდღეობითაც აწარმოებენ და 128 პატენტი მიიღო. ამავე დროს, საკუთარ ქმნილებათა სერიოზული წარმოების აწყობა მას არც უყვარდა და არც იცოდა. თავდაპირველად ბრაუნინგი ფირმა „ვინჩესტერში“ მუშაობდა, რომელიც თოფებსა და შაშხანებს უშვებდა. მაგრამ მე-19 საუკუნის მიწურულს იგი პისტოლეტების შექმნამ გაიტაცა, რამაც მისი დამქირავებლები არ დააინტერესა. ბრაუნინგი საცხოვრებლად ევროპაში გადავიდა, სადაც ლიეჟოს მახლობლად „ფაბრიკ ნასიონალში“ დაიწყო მუშაობა. სწორედ იქ შეიქმნა 1900 წელს მისი სახელის მატარებელი პირველი პისტოლეტი.

თვითდამტენი პისტოლეტები ბრაუნინგამდეც არსებობდა, მაგრამ ისინი ხმარებაში მოუხერხებელი იყვნენ, რადგან შაშხანებივით ზევიდან, „მაუზერივით“ იტენებოდნენ. **ბრაუნინგმა პირველმა მოიფიქრა ტყვიებიანი მჭიდის პისტოლეტის სახელურში ჩადგმა.** შედეგად, მან კომპაქტური, მჩატე და ბრტყელი შვიდტყვიანი „არგუმენტი“ მიიღო, რომელიც იმთავითვე დიდად მოეწონათ ევროპელ რევოლუციონერებსა და ტერორისტებს – ტანსაცმლის ქვეშ მისი დამალვა ადვილად შეიძლებოდა. და დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო!.. თუმცა, მთელი რიგი ტერორისტული აქტის გვირგვინი, რა დროსაც მოკლეს ფინეთის გენერალ-გუბერნატორი ნიკოლოზ ბორბიკოვი, იაპონიის პრემიერ-მინისტრი იტო ჰირობუმი, რუსეთის იმპერიის პრემიერ-მინისტრი პეტრე სტოლიპინი, სხვები, მაინც ავსტრო-უნგრეთის ტახტის მემკვიდრის ერაცჰერცოგ ფრანც ფერდინანდის მკვლელობა იყო. სარაევოში სერბი ნაციონალისტის გავრილო პრინციპის გასროლებს ერთ თვეში პირველი მსოფლიო ომი მოჰყვა. გავრილო პრინციპმა იმ დროისთვის ბრაუნინგის ყველაზე თანამედროვე მოდელიდან ისროლა, მისი სერიული ნომერია 19074 და ამჟამად ვენის მუზეუმში ინახება.

◎ ჩოგბურთი

ქართული წყვილი ფინალში ითამაშებს

ქართველი ჩოგბურთელები სოფო შაფათავა და ეკატერინე გორგოძე იტალიის ქალაქ კაზერტაში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარი) ფინალში ითამაშებენ.

მე-4 ნომრად განთესილი ქართული წყვილი ნახევარფინალში მე-2 რეიტინგის მქონე რუმინულ-უნგრულ დუეტს (ბუზეანი-იანი) დაუპირისპირდა და 6:1, 6:3 სძლია.

გადამწყვეტ მატჩში ქართველი გოგონები მე-3 ნომრად მიჩნეულ იტალიურ-თურქულ (მატეუჩი-სოილუ) წყვილს გაეჯიბრებიან.

ამ უკანასკნელებმა ნახევარფინალში სოფო ქვაცაბაია და ბულგარელი იზაბელა შინიკოვა 6:3, 6:2 დაამარცხეს.

ერთეულთა ტურნირს ქართველთაგან მხოლოდ გორგოძე გახლდათ შემორჩენილი, რომელმაც მეოთხედფინალში ხსენებულ სოილუსთან (მე-7 განთესვა) 3:6, 6:4, 3:6 წააგო.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ეგზოტიკა

ჯინოს სამოთხეში ბათუმელებმა გაიმარჯვეს

ძვიშის ხელბურთში საქართველოს ჩემპიონატის პირველი ეტაპი, რომელიც თბილისის ზღვაზე, აკვაპარკ ჯინო პარადაიზში გაიმართა, მოიგო ბათუმის გუნდმა. მეორე ეტაპი 5-7 ივნისსაა დანიშნული ყვარელში, საქართველოს 2015 წლის ჩემპიონის ვინაობა კი 4 ეტაპის ჯამში გაირკვევა.

„ჯინოს თასზე“ კაცების 9 და ქალთა 3 გუნდი შეგროვდა. კაცთა ფინალში ბათუმის გუნდმა მოუგო საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებს, რომელიც ჩემპიონატში უკონკურსოდ მონაწილეობს და ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატისთვის ემზადება. ბათუმელებმა ეტაპის მოგებისთვის 80 ქულა მიიღეს, ხოლო მეორე ადგილისთვის სარგო 70 პუნქტი ყვარლის გუნდს ჩაეწერა. მესამე ადგილზე გავიდა გორი. გოგონათა ტურნირში სულ სამი გუნდი იყო, აქედან ერთი, ნაკრები – უკონკურსოდ. შარშანდელმა ჩემპიონმა ყვარელმა ფოთს სძლია და პირველი ეტაპი მოიგო.

2015 წლის შეჯიბრება რიგით მეორე საქართველოს ჩემპიონატია. პირველი 2014 წელს გაიმართა და თბილისის „ქორეებისა“ და ყვარლელი გოგონების გამარჯვებით დასრულდა. 2015 წლის მეორე ეტაპი ყვარელში გაიმართება – ამ ტურნირის შემდეგ ჭაბუკთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი მამუკა მჟავანაძე დაასახელებს გუნდს, რომელიც 26-27 ივნისს ესპანეთის კურორტ ლიორეტ დელ მარში ევროპის ცხრამეტწლამდელთა ჩემპიონატზე გამოვა. აქ სულ 9 გუნდი ითამაშებს – ჩვენი ნაკრები ჯგუფში უნგრეთთან, ხორვატეთთან, თურქეთთან და პორტუგალიასთან მოხვდა.

რაც შეეხება საქართველოს ჩემპიონატს, ის ყვარლის ეტაპის შემდეგ აგვისტოში ურეკში გაგრძელდება და სექტემბერში ბათუმში დასრულდება.

კობა კობახიძე

◎ კალათბურთი

„მეომრებმა“ მეორეც მოიგეს

გუშინ გამთენიისას ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის დასავლეთ კონფერენციის ფინალური სერიის მეორე მატჩი გაიმართა.

„გოლდენ სტეიტი“ საკუთარ დარბაზში „ჰიუსტონ როკეტსს“ დაუპირისპირდა. შეხვედრა ოკლენდელთა უპირატესობით მიდიოდა, მაგრამ ტეხასელები მეტოქეს დიდი ანგარიშით წინ გასვლის საშუალებას არ აძლევდნენ. შეხვედრის დასრულებამდე 33 წამით ადრე დუაიტ ჰოვარდმა 2-ქულიანი ჩააგდო და სხვაობა ერთ ქულამდე შეამცირა (99:98). „მეომრებმა“ შეუტიეს, მაგრამ უშედეგოდ. შეხვედრის დასრულებამდე 10 წამიღა იყო დარჩენილი, ბურთი ჯეიმს ჰარდენს ჰქონდა, მაგრამ ოკლენდელთა კარგი დაცვის და ჰარდენის ცოტა დაბნეულობის გამო საფინალო სირენა ისე გაისმა, რომ ჰარდენმა სროლაც ვერ მოასწრო. საბოლოოდ „მეომრებმა“ 99:98 იმარჯვეს. „გოლდენ სტეიტში“ საუკეთესო 33 ქულით სტეფ კარი გახლდათ. ჰარდენს სამმაგ დუბლამდე 1 პასი დააკლდა (38 ქულა, 10 მოხსნა, 9 პასი). სერიაში „გოლდენ სტეიტი“ 2:0 დაწინაურდა. მესამე შეხვედრა ამჯერად უკვე ტეხასში 24 მაისს გაიმართება.



ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

ჩავის ცოლის დარდები

ერთობ ხმამაღალ და, შეიძლება ითქვას, რომ სკანდალურ განცხადებას აკეთებს კატალონიის „ბარსელონას“ უბერებელი ნახევარმცველის ჩავის მეუღლე ნურია კანილერა, რომელიც ამბობს, რომ მოხარული იქნება, თუკი მისი ქმარი სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ ფეხბურთში არ დარჩება.

ნურია კანილერას თქმით, იგი წლების განმავლობაში აკვირდება თავის ქმარს და უკვე საბოლოოდ დაასკვნა, რომ ჩავის ჯანმრთელობასა და ნერვულ სისტემას თუკი რამე უქმნის საფრთხეს – ეს პირველ რიგში სწორედ ფეხბურთია. თუმცა, ამასთან ერთად, ჩავის ცოლი იმასაც ამბობს, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას მაინც ჩავი მიიღებს.

სხვათა შორის, დღემდე არაერთი ცნობილი ფეხბურთელის ცოლს უთქვამს, რომ დიდი სურვილი აქვთ ქმრებმა ფეხბურთი სამუდამოდ მიივიწყონ და უმრავლესობის არგუმენტი სწორედ ჩავის ცოლის სიტყვების იდენტურია. ყველა ქალს უნდა ჯანმრთელი და მშვიდი ქმარი ჰყავდეს, მაგრამ აბა ახლა თავად ფეხბურთელებს ჰკითხეთ, შეუძლიათ კი მათ უფეხბურთოდ ცხოვრება?...



როსტომ რაჭველიშვილი

◎ ჭადრაკი

ბაციაშვილი ლიდერთა ოთხეულშია

ზედიზედ მესამე გამარჯვება იზეიმა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის გამარჯვებულმა ნინო ბაციაშვილმა. რუსეთის წარმომადგენელ ანასტასია სავინასთან დაპირისპირება ბათუმელ დიდოსტატს ძველინდურ დაცვაში მოუწია. მეტოქეებმა ჯერ კიდევ დებიუტში გაცვალეს ლაზიერები, ნინომ მცირე უპირატესობა ნელ-ნელა გაზარდა ზუსტი თამაშით და საჭირო გამარჯვებაც მოიპოვა.

დაძაბულ-დრამატულ რეჟიმში მიმდინარეობდა ქართული ჭადრაკის ლიდერის ნანა ძაგნიძის შეხვედრა გამოცდილ სომეხ დიდოსტატ ელინა დანიელიანთან. უარეს ენდშპილში ძაგნიძემ ეფექტური ეტლის შეწირვით მუდმივი ქიში გამოუცხადა მეტოქეს და ფრედ დაასრულა შეხვედრა.

ფრედ დასრულდა ლელა ჯავახიშვილის და ვლადა სვირიდოვას შეხვედრაც. მეტოქეებმა ორივე ფერით უპრეტენზიო ახალინდური დაცვა ითამაშეს და დიდი გაწამაწიის გარეშე დაშორდნენ ერთმანეთს მშვიდობიანად.

პირველ ტურში მცირე წაფორხილების შემდეგ ორივე პარტია მოიგეს და ლიდერთა სამეულს მიუახლოვდნენ ბელა ხოტენაშვილი და ნინო ხურციძე.

ამრიგად, სამი ტურის შემდეგ კონტინენტის პირველობას ოთხეული ლიდერობს:

ბაციაშვილი, მიქაელა სანდუ (რუმინეთი; 2300), ოლგა გირია (რუსეთი; 2479) და ალინა კაშლინსკაია (რუსეთი; 2423).

მეწინავეთა ჯგუფს ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ძაგნიძე, ჯავახიშვილი, ხურციძე და ხოტენაშვილი.

შემდეგ ტურში ცენტრალური ლიდერთა ოთხეულის შეხვედრები იქნება: გირია სანდუს დაუპირისპირდება, ხოლო ბაციაშვილი შავი ფერის ფიგურებით კაშლინსკაიას შეებრძოლება.

კონტინენტის რიგით მე-16 ჩემპიონატი (საპრიზო ფონდით 60 000 ევრო) შვეიცარული სისტემით 11 ტურად ტარდება და 31 მაისამდე გასტანს.თამაშები ყოველდღე 15 საათზე იწყება, ხოლო 26 მაისს მონაწილეები დაისვენებენ.

ბეჭან დოლიძე

◎ ფეხბურთი

„ბარსელონა“ „იუვენტუსს“ ულოცავს...

კატალონიის „ბარსელონამ“, რომელიც ჩემპიონთა ლიგის ფინალში ტურინის „იუვენტუსს“ დაუპირისპირდება, თავის მომავალ მეტოქეს იტალიის თასის მოგება მიულოცა. კატალონურმა გრანდმა ოფიციალურ ტვიტერის გვერდზე დაწერა:

„ბარსელონადან გილოცავთ თასის მოგებას. ყოჩაღ „იუვე“, გელოდებით, შევხვდებით ბერლინში“, – წერია „ბლაუგრანას“ ტვიტერზე.

„იუვენტუსმა“ იტალიის თასის ფინალში რომის „ლაციოს“ დამატებით დროში 2:1 აჯობა და ეს ტურნირი 20-წლიანი პაუზის შემდეგ, ჯამში კი მეათედ მოიგო, რითაც პირველი იტალიური გუნდი შეიქნა, რომელმაც ამ ნიშნულს მიაღწია.

„ბარსელონა“ – „იუვენტუსის“ ჩემპიონთა ლიგის ფინალი 6 ივნისს ბერლინში გაიმართება.

გიორგი ზოთაძე

◎ ვინ გვსტუმრობს?

15 ქვეყანა, საიდანაც ტურისტები საქართველოში ჩამოდიან

ყველაზე მეტი ტურისტის პირველ ადგილებს მეზობელი ქვეყნები — აზერბაიჯანი, თურქეთი და სომხეთი იკავებენ, მათ მოჰყვება რუსეთი და უკრაინა. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის 2015 წლის პირველი კვარტალის მონაცემებით კი სრული სია ასეთია:

აზერბაიჯანი, თურქეთი, სომხეთი, რუსეთი, უკრაინა, გერმანია, ყაზახეთი, აშშ, პოლონეთი, ირანი, გაერთიანებული სამეფო, ბელორუსი, საბერძნეთი, ისრაელი, ლიტვა.

ტურისტების რაოდენობას არ უჩივიან დედაქალაქის ცენტრალურ უბნებში მდებარე ბარ-რესტორნები, იქ სადაც ტურისტული ზონებია, მაგალითად, შარდენზე, ლესელიძეზე, რუსთაველსა და აღმაშენებელზე. მათი თქმით, დოლარის კურსის აწევამ იმოქმედა ფასებზე, თუმცა, ჯერჯერობით, ტურისტების ნაკლებობა არ შეინიშნება.

თავად ტურისტების თქმით, მათთვის ფასები მისაღებია და საქართველოც ძალიან მოსწონთ. „ფასები მისაღებია ჩვენთვის, თუმცა, დედაქალაქში უფრო მაღალი ფასებია, ვიდრე სხვა ქალაქებში. მაგალითად, სასმელი და საკვები სხვა ქალაქებში უფრო იაფია, ვიდრე თბილისში. სასტუმროსაც ვარჩევთ, ზოგი ძვირია, ბინის ტიპის სასტუმროები კი — შედარებით იაფი. საქართველო ძალიან მოგვწონს, ხალხი ყურადღებიანი და სტუმართმოყვარეა“, — აღნიშნა ერთ-ერთმა ტურისტმა Ambebi.ge-სთან საუბრისას.

თაკო ესებუა

ტურიზმის პერსპექტივა საქართველოში

გასულ კვირას მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ირანელ ტურისტთა რაოდენობის შემცირების გამო საქართველოში ირანიდან რეისების აღდგენა აღარ იგეგმება. ირანელი ტურისტების რაოდენობის შემცირება საქართველოში გამოხატულებაა იმ საერთო ტენდენციისა, რომელიც ასახულია ტურიზმის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ პირველი კვარტალის ანგარიშში.

ანგარიშის მიხედვით,საქართველომ 2015 წლის პირველ კვარტალში 986 366 საერთაშორისო მოგზაური მიიღო, რაც 2 %-ით ნაკლებია გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. საერთაშორისო მოგზაურთა უდიდესი წილი მეზობელ ქვეყნებზე მოდის და მთლიანი ვიზიტორების 91 %-ია.საქართველოში ჩამოსული საერთაშორისო მოგზაურების 87 % ქვეყანაში სახმელეთო საზღვრებიდან შემოვიდა.

სტატისტიკურად, საქართველოში შემოსული მოგზაურების უდიდესი წილი ზაფხულის სეზონზეა. საზღვრის კვეთის მონაცემების მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე 24 საათი და მეტი დროით ქვეყანაში საერთაშორისო მოგზაურების 35 % დარჩა, რაც ტურისტების ნაწილია. დამატებით ხდება 24 საათზე ნაკლები პერიოდით ჩამოსულთა და ტრანზიტულ ვიზიტორთა დათვლაც. მათი წილი, შესაბამისად, 44 %-სა და 21 %-ს შეადგენს.

საერთაშორისო მოგზაურთა რაოდენობით აზერბაიჯანი ლიდერობს. პირველი კვარტალის მონაცემებით, აზერბაიჯანიდან 283 504 (6 %) საერთაშორისო მოგზაური შემოვიდა საქართველოში. აღსანიშნავია, რომ 2014-2015 წლის I კვარტალის მონაცემებით, ტოპ 15 ქვეყანაში ცვლილებაა. ახალი სავიზო პოლიტიკის გამო ირანმა დაკარგა პოზიციები და მეექვსე ადგილიდან მე-10 ადგილზე გადაინაცვლა, ხოლო ერაყი და ჩინეთი საერთოდ აღარ ხვდებიან ტოპ 15 ქვეყანაში. მათი ადგილი ლიტვამ და ბელარუსმა დაიკავა.

უკანასკნელ თვეებში აღსანიშნავია მოგზაურების ზრდა გერმანიიდან (64 %), ყაზახეთიდან (29 %) და გაერთიანებული სამეფოდან (14 %). გერმანელი ვიზიტორების ზრდა მნიშვნელოვნად განაპირობა გერმანია-საქართველოს საფეხბურთო მატჩმა. პირველ კვარტალში მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნება ბელარუსიდან (39 %), რაც გამოწვეულია საქართველოსა და ბელარუსს შორის ავიამიმოსვლის გახშირებით. პირდაპირი ავიარეისის გახსნამ ლიტვის მიმართულებით გამოიწვია დიდი რაოდენობის მოგზაურთა შემოდინება ამ ქვეყნიდან. პირველი კვარტალის მონაცემებით, ლიტველი ვიზიტორების რიცხვმა 2 294 შეადგინა, რაც 136 %-ით აღემატება წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემებს. რაც შეეხება ევროკავშირის ქვეყნებს, პირველი კვარტალის მონაცემებით, ევროპელი მოგზაურების რიცხვმა 31 953 შეადგინა, მათი წილი პირველი კვარტალის მთლიან რაოდენობაში 3 %-ია.

სულ ცოტა დარჩა საქართველოში ზაფხულის ტურისტული სეზონის დადგომამდე. სეზონის წარმატებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული არა მხოლოდ ტურიზმის სფეროს, არამედ ეროვნული ვალუტისა და, ნაწილობრივ, მთლიანად ეკონომიკის ბედიც.

ნინო ევგენიძე,
რადიო „თავისუფლება“

◎ წკეპლიკა

პატარა კაცო და შენნაირნო!

რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო იმანჭები, იჭინთები „რუსთავი-2“-ლო პატარა კაცო, ვანო, შენ გეუბნები, გვარს ვერ გავაცხადებ შენსას, რადგან ამ გვარს ქართველთათვის დიდი წონა აქვს, ისეთი, ოქროთიც რომ ვერ განიწონება.

აქაოდა, გამკითხავი არავინაარ, შენს გადაცემას, შენს უმგვან შოუს, დიდი ბიძინას, ერის დიდი მოამაგის, ქვეყნის მხსნელი ივანიშვილის ვითომ გაშარჟებით იწყებ, უნიჭო იუმორით ცდილობ, ჩრდილი მიაყენო ადამიანს, რომლის თმის (უკვე ჩამოცვენილისაც) ფასადაც არ ღირხარ!

არა მგონია, არ იცოდეთ, რომ შენ და შენი კომპანიონები, 30 ვერცხლად გაყიდულნი, უკვე იწერებით ერის ისტორიის შავ ფურცლებზე, როგორც გამცემნი, უმადურნი, სულით სატანას მიყიდულნი, მაგრამ მაინც იმანჭები, იგრიხები, ისედაც ერთი ბეწო, ეშმაკს მინამგვანი.

არ მგონია, იმ გვარისა იყო, იმ ჯიშ-ჯილაგისა, თორემ ერთხელ მაინც გაიღვიძებდა შენში რაღაც სასიკეთო, მამულიშვილური, რითაც მოდიოდა ჩვენი ერი, ჩვენი ხალხი, რითაც ვიყავით გამორჩეულნი, ამაღლებულნი.

მაინც რამდენს გიხდიან, სინდის-ნამუსიანად გაყიდულო ვანო, ბატონ ბიძინას მიმართ ყოველი შენი არაკაცური ქცევა მაინც რამდენად გიფასდება იმ არაკაცთაგან, თვითონ რომ მოძუძგეს ამ ქვეყნიდან და თქვენ აქ დაგტოვეს ფინია მყეფარებად?

გეყოთ, გეყოთ, თქვე გონებადაბინდულნო, შენც, შენს ამქარ გაბუნიასაც და სხვებსაც, ხალხის, ნერვებზე თამაში, თორემ ეს ძვირად დაგიჯდებათ და მერე გვიან იქნება თითზე კბენანი.

მანამ კი, „ქიცი-ქიცი, პაწაწინა მურიავ“. დიდ აკაკის მოვიშველიებ, მაპატიოს მისმა სულმა, შენ და შენისთანებმა იყეფეთ, იწკმუტუნეთ, კუდები აქიცინეთ, შური და ბოღმა ანთხიეთ, თქვე მართლაც სატანისტებო, სანამ უშველებელ სათქვენო ორმოში არ ჩაგყრიან.

გივი ჯაჯუა

დაავადება, რომელიც არ იკურნება

ფსიქიატრიაში ცნობილია დაავადება, როცა ავადმყოფი გამუდმებით იმეორებს ერთი და იგივე პიროვნების გვარს უარყოფით კონტექსტში. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ნაცების მიერ მუდმივად ივანიშვილის ხსენება, ფსიქიატრების აზრით, საქმე გვაქვს ბოღმით, ღვარძლით გამოწვეულ ფსიქიკურ აშლილობასთან, რომელიც, სამწუხაროდ, არ ექვემდებარება განკურნებას.

ლონდა მდივანი

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
29 3-37-87; 568 82-09-84..

ყურადღება!

იყიდება დიდ დიღომში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით.
ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.

განცხადება

შპს „ენგურჰესის“ თაღოვანი კაშხლის საყალიბე საამქროს იჯარით გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

შპს „ენგურჰესი“ (იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. №8, III სართ. ფაქტიური მდებარეობა, წალენჯიხის რაიონი დაბ. ჯვარი (ფოცხოეწერი), თაღოვანი კაშხლის ქვედა ბიეფის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საყალიბე საამქროს იჯარით გაცემის მიზნით, აცხადებს აუქციონს შემდეგი პირობებით:

— საერთო ფართობი,906 (ცხრაასექვსი) კვ. მეტრი;
— ნარჩენი საბალანსო ღირებულება, 140021 (თოთხმეტიათასოცდაერთი) ლარი;
— იჯარის ხანგრძლივობა, 5 (ხუთი) წელი;
— ერთი თვის იჯარის თანხა, დღგ-ს ჩათვლით, 1200 (ერთიათასორასი) ლარი;
— სავაჭრო ბიჯი, 50 (ორმოცდაათი) ლარი;
— წინასწარი შენატანი „ბე“, 120 (ასოცი) ლარი;

აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულებას, აუქციონში მონაწილეობის მსურველი იხდის შპს „ენგურჰესის“ საბანკო ანგარიშზე. აუქციონში მონაწილეობის მსურველი განაცხადთან და „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად რეგისტრატორს წარუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რის შემდეგაც ტარდება რეგისტრაციაში და იღებს აუქციონში მონაწილის ბილეთს. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულება არ შედის სარეალიზებო ღირებულებაში და გამოქვითვას არ ექვემდებარება.

თანხის („ბე“-ს, აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის) გადახდის საბანკო რეკვიზიტებია: მიმღები: შპს „ენგურჰესი“, სს „პროკრედიტ ბანკის“ ქუთაისის ფილიალის ზუგდიდის განყოფილება, ბანკის კოდი 220101929, ანგარიშგების ანგარიში 301467126, ს/კოდი 251716371.

განაცხადის მიღების ადგილია ქ. ზუგდიდი რუსთაველის №90, მეორე სართული, შ.პ.ს. „ენგურჰესის“ ოფისი. განაცხადების მიღების ვადაა **2015 წლის 22 მაისის** 10 სთ-დან **2015 წლის 5 ივნისს** 12-სთ-მდე ყოველდღე სამუშაო საათებში.

აუქციონი ჩატარდება **2015 წლის 5 ივნისს 14 საათზე,** მითითებულ მისამართზე.

აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გააფორმოს შპს „ენგურჰესთან“ შესაბამისი ხელშეკრულება და აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან, 30 კალენდარული დღის განმავლობაში, დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო საიჯარო თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა ქონების დროებით სარგებლობის უფლება და „ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

აუქციონში მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

— დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს „ენგურჰესის“ ოფისი);
— „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
— აუქციონში მონაწილეობის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი; იურიდიული პირისათვის — ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
— სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ აუქციონში მონაწილეობს სხვა პირის სახელით.

საუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვების გამოვლენის კრიტერიუმია საწყის საიჯარო ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს „ენგურჰესის“ ოფისი, ტელ. 595 22 70 50.

შპს ენგურჰესის აუქციონის მოწყობის კომისია

◎ სულიერება

24 მაისს ღღესასწაულობს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია I მსოფლიო კრების (325 წ.), წმიდათა მამათა კვირიაკეს, ასევე აღდგომიდან მე-7 კვირას მოციქულთა სწორთა: მეფისა მირიანისა და დედოფლისა ნანასი (IV) ხსენებაა

ცნობილია, რომ ქართლის მეფე მირიანს ცოლად ჰყავდა პონტოელი მთავარსარდლის ასული – ნანა. მირიან მეფე სარწმუნოებრივი შემწყნარებლობით გამოირჩეოდა, ის თაყვანს სცემდა ცეცხლსა და ქართულ კერპებს, ბერძნებთან ხანგრძლივი ურთიერთობის გამო ქრისტიანული მოძღვრების შესახებაც ჰქონდა გაგებული, მის ყურამდე მისული იყო წმიდა კონსტანტინე დიდის მიერ მტრის სასწაულებრივი ძლევის ამბავი.

ამ დროს ქართლში მოსული მოციქულთა სწორი ნინო ქართველთა განმანათლებელი ურიათუბანში დასახლდა. ოციოდე დღე გავიდა, მთელი ქართლი დაიძრა წარმართული ღვთაების, არმაზის დღესასწაულზე. ამ დღესასწაულს, მოგეხსენებათ, მთელი სამეფო კარი ესწრებოდა, ნინო ქართველთა განმანათლებელმა ლოცვა აღავლინა ღვთის წინაშე და არმაზის, გაცის და გაიმის კერპები სასწაულებრივ დაიმსხვრა.

...გავიდა ხანი, ერთ დღეს დედოფალმა შეუძლოდ იგრძნო თავი, ავადმყოფობა ურთულდებოდა, დასნეულებული ნანა წმინდა ნინომ სიკვდილისგან იხსნა გულმხურვალე ლოცვით.

დედოფალ ნანას განკურნების შემდეგ მირიან მეფე დაინტერესდა ქრისტეს სჯულით და ქრისტეს სჯულზე მოცქვევის სურვილი გაუჩნდა.

ერთხელაც მირიან მეფე სანადიროდ წავიდა თხოთის მთაზე, უცებ მზე დაბნელდა, უკუნი ღამე ჩამოწვა. შეშინებულმა მირიანმა კერპებს შესთხოვა დახმარება, მაგრამ ისინი უგრძნობნი იყვნენ მლოცველის მიმართ. მაშინ მეფემ ჯვარცმულ ღმერთს შეავედრა თავი და მოხდა სასწაული – განათდა, გამობრწყინდა მზე. მირიანმა განიპყრნა ხელნი აღმოსავლეთისაკენ და თქვა: „შენ ხარ ღმერთი ყოველთა ზედა ღმერთთა და უფალი ყოველთა ზედა უფლებათა, ღმერთი რომელსა ნინო იტყვის“.

მცხეთაში დაბრუნებული მეფე ნინოსთან მივიდა, მისი რჩევით მეორე დღესვე მოციქულნი წარავლინა საბერძნეთს და სთხოვა, ნათლისღებისთვის მღვდელები გამოეგზავნა კონსტანტინე მეფეს. ყველაფერი ღვთის ნებით შესრულდა... მტკვრისა და არაგვის შესართავთან ნათელ იღო მეფემ, დედოფალმა, სამეფო კარმა და სრულიად ქართლმა...

გიული ლიპარტია

განცხადება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე სამკურნალო წყლების წყაროებიდან სამოციოდე მეტრში მდებარე 2430 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, სადაც, სურვილისამებრ, ერთდროულად შეიძლება როგორც სანატორიუმის, ისე სამკურნალო-სააბაზანოს, ფიტნესკლუბის, კინოთეატრისა თუ სხვა ნაგებობათა აშენება. ყველა კომუნიკაცია არის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 5 99 98 56 33; 599 37 00 35.

სკანვორდი



რეკლამა

293-37-87;
568 82-09-84.
მაჩაბლის ქ. №7.

◎ კადრი

◎ ცინცხალი ანეკდოტები

წინა დღით გურიაში ადესით ნაქეიფარი კახელი ეზოში დადის და ბურდღუნებს:

— ვინაცა ადესას ღვინო დაარქვა და გურულს კაცი, იმის დედა ვატირე...

ესმის ეს მასპინძელს და თავისთვის ამბობს:

— ადესას რას ერჩის, დოუშავა რამე?

* * *

— **მიხო**, მაროსთან ქორწილამდე გქონდა რამე?

— მქონდა... ბალღი ხომ აღარ ვიყავი! შიფონერი მქონდა, ტელევიზორიც... სარეცხი მანქანა მემრე ვიყიდეთ.

* * *

წარწერა ტუალეტში:

„ისარგებლეთ ტუალეტის ჯაგრისით“...

ქვეშ ვიაღაცამ მიაწერა:

„არ შეიძლება ქაღალდით? ჯაგრისი კაწრავს...“

* * *

— **დედი**, შეიძლება, რომ მეგობართან ერთად პლაჟზე წავიდე გასარუჯად? — ეკითხება ქალიშვილი.

— შეიძლება, მაგრამ თბილად ჩაიცვი.

* * *

— **შეიძლება**, რომ ვიქონიო თქვენი ბანკისგან სესხის მიღებისას ლოიალური დამოკიდებულების იმედი?

— თქვენ რა, ჩვენი ბანკის ვიპ-კლიენტი ხართ?

— არა, მაგრამ მე თქვენი კონკურენტი რამდენიმე ბანკისგან სესხი არ დამიბრუნებია.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24